პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლიტერატურა და ხელოვნება

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის და ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ყოველკვირეული ორგანო

№ 35 (45), პარასკევი, 20 ოქტომბერი, 1944 წ. ფასი 1 მან.

დღეს ნომერში:

— ფრონტელთა შემოქმედება (მოწინავე).
— ალექსანდრე თოფურია — პარტბილეთი (ლექსი).
— მ. ი. ლერმონტოვი — პოეტი (ლექსი. თარგმანი ვანო წულუკიძისა).
— კონსტანტინე კაპანელი — მ. ი. ლერმონტოვის პოეზია.
— კონსტანტინე გამსახურდია — ალექსანდრე აბაშელი.
— გერონტი ქიქოძე — სიბრძნე ბალავარისა (ძველი და ახალი შენიშვნები).
— შალვა დადიანი — ზე-აღმტაცი, ვაჟკაცური პოეზია.
— ლეო ქიაჩელი — ახალი ქართული პოეზიის დღესასწაული.
— ხარიტონ ვარდოშვილი — ალექსანდრე აბაშელს (ლექსი).
— ერ. ასტვაცატუროვი — პოეტი-მოქალაქე.

## ფრონტელთა შემოქმედება

ახლოვდება ჰიტლერული გერმანიის აღსასრული. ძლევამოსილი ჩვენი ლაშქარი უკვე სდგას გერმანიის აღმოსავლეთ საზღვარზე და სულ მალე იგი აღმოჩნდება გერმანიის კარიბჭეზე სამხრეთიდანაც. დასავლეთიდან ჩვენი მოკავშირეები უკვე შეიჭრნენ გერმანიის მიწაწყალზე. დღითი დღე ვიწროვდება რკალი სასიკვდილოდ დაჭრილ მხეცის გარშემო. იწყება უკანასკნელი გენერალური შტურმი ფაშისტური ურჩხულის წინააღმდეგ. ამ შტურმის შედეგად ჰიტლერული გერმანიის საბოლოო დამარცხება და მისი სრული მოსპობა ისევე გარდაუვალია, როგორც ხვალინდელი დღის გათენება.

შორს არ არის ის დღე, როცა ჩვენი სამშობლო და მთელი მსოფლიო იზეიმებს ფაშისტური ბნელეთის დამხობას, ევროპის ყველა ხალხის განთავისუფლებას ფაშიზმის ჯოჯოხეთური უღლისაგან.

საბჭოთა ხალხმა უდიდესი ბრძოლები გადაიხადა თავისი დიადი ისტორიული მისიის შესასრულებლად. საუკუნეების მანძილზე ჩვენს შთამომავლობას საამაყოდ დარჩება ის დიდი ისტორიული ფაქტი, რომ მთელი სიმძიმე ტიტანური ბრძოლისა კაცობრიობის ბედნიერ მერმისისათვის თავის გოლიათური მხრებით ზიდა საბჭოთა ხალხმა, იმ ხალხმა, რომელიც აუზარდა და გამოაწრთო **ლენინ-სტალინის** პარტიამ, ხალხთა ბრძენმა ბელადმა დიდმა **სტალინმა**.

დიდად საამაყოა, რომ ქართველმა ერმა, რომელიც უსაზღვროდ ერთგული დარჩა თავისი ისტორიული საბრძოლო ტრადიციებისა, საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხთან ერთად თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჩვენი დიდი სამშობლოს—საბჭოთა კავშირის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში; დიდად საამაყოა, რომ ქართველი მეომარი ღირსეულად იბრძოდა და იბრძვის უზარმაზარ ფრონტის ყველა უბანზე, რომ მან რუსი, უკრაინელი, ბელორუსი, სომეხი და სხვა მოძმე ერის შვილების მხარდამხარ ვაჟკაცური ძლევამოსილი ბრძოლით გაიარა გზა მოსკოვის მისადგომებიდან პრუსიის საზღვრებამდე, სტალინგრადიდან კარპატებისა და ტრანსილვანიის მთებამდე. ამ ტიტანურ ომის უმძაფრეს ეპოპეაში ქართველი მეომრის სასიქადულო მონაწილეობა აღბეჭდილია არა მარტო მწერალთა სტატიებსა და საგაზეთო კორესპონდენციებში, არამედ თვით ქართველ მეომართა დღიურებსა, ნარკვევებსა, მოთხრობებსა და ლექსებში. ბევრმა არ იცის, რომ რუსეთსა, უკრაინასა და ბელორუსიაში მებრძოლი ქართველები თავიანთი საკუთარი ძალებით სცემდნენ ქართულ საფრონტო გაზეთებს, სადაც იბეჭდებოდა ქართველ მეომართა არა მარტო კორესპონდენციები მოწინავე ხაზიდან, არამედ მათი მხატვრული ნაწარმოებებიც,— ლექსები და მოთხრობები. იმავე დროს მათ განუწყვეტელი კავშირი ჰქონდათ თავიანთ მხარესთან, საბჭოთა საქართველოსთან. სამამულო ომის პირველ დღეებიდანვე ჩვენი პერიოდული პრესის რედაქციები—„კომუნისტი“, „ზარია ვოსტოკა“, „ლიტერატურული საქართველო“, „ლიტერატურა და ხელოვნება“, ჟურნალი „მნათობი“, სარაიონო გაზეთები, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი, სახელგამი, გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“ და სხვები უამრავ მხატვრულ მასალას ღებულობდნენ ქართველ მეომრებისაგან. ნაწილი ამ მასალისა იბეჭდებოდა, მაგრამ უმრავლესობა გამოუქვეყნებელი რჩებოდა იმის გამო, რომ მათ ნაწილობრივ აკლდათ საბოლოო დამუშავება და ლიტერატორის გამოცდილი ხელი.

ამჟამად რედაქციების, მწერალთა კავშირის და საგამომცემლო ორგანიზაციების წმინდა მოვალეობაა ფრონტელის არცერთი ხელნაწერი არ დაიკარგოს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ შესაძლებელია ბევრი ამ ხელნაწერიდან მხატვრული ნაწარმოები არ იყოს, მაგრამ არცერთი მოკლებული არ იქნება იმ დოკუმენტის ღირსებას, სადაც აღბეჭდილია განცდები მეომრისა, რომელიც ომის ქარიშხალშიდაც კი გრძნობდა შინაგან მოთხოვნილებას გამოეთქვა და ბრძოლებსა და ბრძოლებს შუა ქაღალდზე გადაეტანა თავისი გულისნადები, თავისი მღელვარე გრძნობები. მარტო ეს გარემოება გვავალებს ჩვენ განსაკუთრებული ყურადღებითა და გულისხმიერებით მოვეკიდოთ მეომრის ხელიდან გამოსულ ნაწარმოებს, შევისწავლოთ, დავამუშაოთ, შევარჩიოთ და ცალკე კრებულებად გამოვცეთ ისინი. უეჭველია ეს კრებულები დარჩებიან სამამულო ომის დიდ დოკუმენტებად, სადაც აღბეჭდილი იქნება საბჭოთა მეომრის მიერ ვოლგიდან შპრეემდე გავლილი გზა მთელი გარეგნული და შინაგანი პერიპეტიებით, სადაც დაცული იქნება გიგანტური ომის უშუალო მონაწილის — საბჭოთა მეომრის სულიერი სამყარო, მისი უსაზღვრო სიყვარული მამულისადმი, დიდი სტალინისადმი, მისი მწვავე სიძულვილი ბარბაროს მტრისადმი, აღშფოთება და გამწარება გერმანელ დამპყრობთა მიერ ჩადენილ მხეცობით, გრძნობა შურისგებისა და სამაგიეროს მიზღვევისა, გულისტკივილი და ძმური თანაგრძნობა ჰიტლერელთაგან წამებულ საბჭოთა ადამიანებისადმი, უსაზღვრო სიხარული საბჭოთა ქალაქებიდან და სოფლებიდან გერმანელთა განდევნის გამო, უმაღლესი გრძნობა სისხლით განმტკიცებულ მეგობრობისა, მწუხარება და ნაღველი დაღუპულ მეგობარზე, ნატვრა საკუთარი მშობლიური კერის ხილვისა, მეზობლებთან გასაუბრებისა, გუთანთან თუ საკუთარ დაზგასთან დაბრუნებისა. აი ეს დიდი კეთილშობილება, ეს ფიზიკური და სულიერი სიქველე საბჭოთა მეომრისა არის აღბეჭდილი, ზოგ შემთხვევაში, ლიტერატურულად გაუმართავ ფრონტელთა ხელნაწერებში. ჩვენ ამ ხელნაწერებს უნდა მოვუაროთ, დავამუშაოთ, გამოვაქვეყნოთ და დავიცვათ როგორც ძვირფასი რელიქვიები საბჭოთა ხალხის მიერ გარდახდილ ტიტანურ ბრძოლაზე, მის მიერ მოპოვებულ ბრწყინვალე გამარჯვებაზე.

უკვე დროა შეიქმნას ცენტრი, რომელიც ამ მასალას თავს მოუყრის და სათანადო ხელმძღვანელობას გაუწევს მის დამუშავებას.

ჩვენის აზრით, ამ საქმის თაოსნობა უნდა იკისროს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირმა და თავის სექციების საშუალებით გაშალოს მუშაობა დიდი სამამულო ომის ამ ფრიად მნიშვნელოვან დოკუმენტების შესაგროვებლად და გამოსაქვეყნებლად. ამით ჩვენი ორგანიზაცია მოიხდის თავის ვალს როგორც სამამულო ომის მამაც მონაწილეთა, ისე მომავალ თაობათა წინაშე.

## საფრონტო თეატრების დათვალიერება

ამჟამად მოქმედი არმიის ნაწილებში მიმდინარეობს საფრონტო თეატრების დათვალიერება. ნოემბრის მეორე ნახევარში ხელოვნების საქმეთა საკავშირო კომიტეტი მოსკოვში აწყობს საფრონტო თეატრების საუკეთესო სპექტაკლების ჩვენებას და შემოქმედებითი თათბირს საფრონტო თეატრების მუშაობის შესახებ სამამულო ომის პერიოდში. ნაჩვენები იქნება ვახტანგოვის სახელობის თეატრის საფრონტო ფილიალის, მცირე თეატრის, ი. რაევსკის ხელმძღვანელობით მომუშავე საფრონტო თეატრის, მინიატურების თეატრების და ტაჯიკეთის საფრონტო თეატრის სპექტაკლები. შემოქმედებით თათბირზე მოსმენილი იქნება მოხსენებები თემებზე: „საფრონტო თეატრების მუშაობის შედეგები“, „საფრონტო თეატრის მსახიობი“, „საფრონტო თეატრის მაყურებელი“. თათბირში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან კრიტიკოსები, დრამატურგები და რეჟისორები, რომელნიც გაეცვნენ საფრონტო თეატრების მუშაობას მოქმედ არმიაში. თათბირისათვის ეწყობა დიდი გამოფენა თემაზე „საფრონტო თეატრები სამამულო ომის დღეებში“.

მ. ი. ლერმონტოვი

## პოეტი

ოქროს სევადით ბრწყინავს ჩემი სანდო მახვილი,
ჩემი ხანჯალი პირმომახული.
სთვლემს მასში წრთობა იდუმალი, მშფოთვარ მაღრიბის
მკაცრ ბრძოლებიდან შემონახული.

ის მთებში მხედარს ემსახურა წელი მრავალი,
არ აუღია გარჯისთვის ქირა.
არა ერთს მკერდზე საშინელი გაავლო კვალი,
და აბჯრიანი მკერდი გაჰგმირა.

ართობდა ბატონს მორჩილებით, ხან ჟღარუნებდა
მრისხანედ, როცა ისმენდა აუგს,
რას იფიქრებდა მაშინ, ბედი თუ არგუნებდა
მას სამარცხვინო უცხო სამკაულს.

გულმედგარ კაზაკს მოუხსნია ის გაბედულად
თერგს გაღმა ომში დაცემულ მტრისთვის,
და შემდეგ სადღაც სავაჭროში დიდხანს გდებულა,
ვით უსარგებლო მტვრიანი ნივთი.

ახლა მშობლიურს ქარქაშს ბევრჯერ ომში დაფლეთილს,
მოკლებულია გმირთა მხლებელი;
როგორც უბრალო სამკაული ამშვენებს კედელს,
ის უსახელო და უვნებელი.

ახლა არავინ გამოცდილი მზრუნველი ხელით
მას აღარ ჰფერავს, არ უალერსებს,
და რიჟრაჟის წინ გულმხურვალე ვინმე მლოცველი
აღარ კითხულობს მასზე წარწერებს.

დანიშნულება არ დაჰკარგე ასევე განა
შენაც, პოეტო ჩვენი დროების,
რაკი ოქროში გაეც ძალა, რასაც ქვეყანა
უსმენდა რწმენით და სასოებით?

იყო დრო, ოდეს შენი სიტყვის ამგზნები ძალა
ცეცხლს უღვივებდა გულში მებრძოლებს,
ის ხალხს სჭიროდა, ვით სჭირდება ნადიმს ფიალა
და საკმეველი—სამლოცველოებს.

ესიტყვებოდა რა ხმა შენი უმაღლეს მრწამსა
და კეთილშობილს ზრახვებს ერისას,
რეკდა ვით ზარი ვეჩეს კოშკზე ზეიმის ჟამსა
და ჟამს სახალხო განსაცდელისას.

მაგრამ ვერ ვიტანთ დღეს შენს სიტყვას, ამაყს, სადად თქმულს,
ფუჭი ხმაური გვართობს, გვაოცებს,
ძველი ქვეყანა დაემსგავსა კეკლუცს ხანდაზმულს, —
ფერუმარილით მალავს ნაოჭებს.

გამოგაღვიძებს კვლავ, პოეტო, ხალხის განგაში,
თუ ვერასოდეს შურისაგებად
ვერ ამოიღებ შენს სატევარს, ოქროს ქარქაშში
რომ ჩაუჟანგავს ზიზღს და ძაგებას.

თარგმანი ვანო წულუკიძისა

ალექსანდრე თოფურია

## პარტბილეთი

გარეთ ცეცხლი სწვავს ცის მაღალ ტატნობს,
დღეს შესვენება გვერგო მცირედი...
ბლინდაჟში ახლა სამნი ვართ მარტო —
მე, მეთაური და პარტბილეთი.
ეს პარტბილეთი, როგორც ნუგეში,
გულზე ეფინა დაჭრილ მეომარს,
ფეთქავდნენ სისხლით სავსე უბეში
ეს ბილეთი და გმირის მხნეობა.
არ უკვნესია სისხლისგან დაცლილს,
გვიყიჟინებდა მებრძოლ მეგობართ.
მივედით ვნახეთ ველზე ვაჟკაცი,
სიცოცხლეს როგორ ეთხოვებოდა:
„ბიჭებო, არ გთხოვთ ცრემლს და სინანულს
ტყვიამ ტიალმა გასჭრა გულამდი,
ერთი სიცოცხლე შევსწირე მამულს,
მეტიც რომ მქონდეს არ დავშურავდი.
ეს პარტბილეთი უბით დამქონდა,
იგი სიცოცხლის დროშას ვადარე.
თქვენც კარგათ იცით, რა ქარიც ჰქროდა,
ყველგან უვნებლად გამოვატარე.
დღეს იმ მუხთალმა ტყვიამ მონისლა
ჩემი სიცოცხლე და თვალის ჩინი“.
სთქვა და ბილეთი მეთაურს მისცა
და შემდეგ თითქოს მოუნდა ძილი.
მშვიდად დახუჭა თვალი არწივის,
როს იმედიან ხელში იხილა
ეს პარტბილეთი, დაჭრილ კაცივით,
სისხლის წორევში რომ შეღებილა.

დევს მაგიდაზე ყდა-გახვრეტილი,
თითქო ისევ სდის სისხლი თქრიალით
ხან ნაღარაა ხმა გაკმენდილი,
ხან არწივია ფრთასისხლიანი.
დევს მაგიდაზე, ვით მოწოდება,
ჩვენი ცისა და მშობლიურ მიწის,
როგორც სიწმინდე, როგორც დიდება
ქვეყნის წინაშე დადებულ ფიცის.
ვუმზერ და ვფიქრობ: ამდენი სითბო
მცირე ბილეთში რამ ჩაატია,
მისი ყდა დროშის კალთაა თითქოს,
ფურცლებში ბრძოლის ცეცხლი ანთია.
იგი არა გავს უბრალო ქაღალდს,
მის ფურცლებს ჭუჭყი არ ეკარება,
ვფიქრობ და ვუსმენ იმ ცეცხლის ღაღადს
გმირებს რომ უყვართ უბით ტარება.
გარეთ ცა იწვის და მიწა გრგვინავს,
აქ დასვენება უფრო მძიმეა,
გულანთებული ვშორდებით ბლინდაჟს,
ველს ვეშურებით ცეცხლის წვიმიანს.
აჰა, სამშობლოს უწმინდეს საზღვარს
მზე დადგომია, ცა ესარკება;
კაცობრიობის შუბლს უზარმაზარს
დაჰყურებს კრემლი, ვით ცისარტყელა.
— სიცოცხლე მშობელ
მზესა და მამულს!
მტერს აზღვევინეთ
სისხლი მცირედიც!—
მოგვძახის უკან
მე და მეთაურს,
და მთელ ქვეყანას
ეს პარტბილეთი.

კონსტანტინე კაპანელი

## მ. ი. ლერმონტოვის პოეზია

### მ. ლერმონტოვის დაბადებიდან 130 წლისთავის გამო

ჩვენი ქვეყნის წარსული აღსავსეა დიდი ბრძოლებით თავისუფლებისა და ჭეშმარიტებისათვის. ამ ბრძოლებში მეცნიერებისა და ლიტერატურის წარმომადგენლებს, ხალხთან ერთად, მრავალი მძიმე და მწარე მომენტები განუცდიათ. ისინი ყოველთვის ხალხის მხარეზე იდგნენ და იბრძოდნენ თავგანწირვით კაცობრიობის საუკეთესო მომავლისათვის.

მიხეილ იურის-ძე ლერმონტოვის შემოქმედება სწორეთ ასეთი ბრძოლის, პატრიოტული მგზნებარების, სამშობლოს უწმინდესი სიყვარულის ნათელი ფურცელი იყო. მის შემოქმედებაში მძლავრად გაისმოდა ხმა დიდი რუსი ინტელიგენციისა, რომლის თაობათა უკეთესი ტრადიცია ყალიბდებოდა მონარქიული წყობილების წინააღმდეგ ბრძოლაში.

მთელი თავისი სულიერი სიდიადით შეებრძოლა ლერმონტოვი იმ რეაქციას, რომელიც ნიკოლოზ პირველის დროს განუსაზღვრელად ბატონობდა ცხოვრების ყველა სფეროში. პოეტის პროტესტანტული სული ვერ ურიგდებოდა იმდროინდელ კოშმარულ სინამდვილეს. ლერმონტოვი იბრძოდა ამ რეაქციის წინააღმდეგ პროგრესიულ-რევოლუციური, თავისუფლებისათვის მებრძოლი რუსეთის სახელით. ეს რადიკალური პოზიცია პოეტმა თავისი სიჭაბუკის წლებიდანვე აირჩია.

ლერმონტოვის სულიერი და იდეური მომწიფება მოხდა მოსკოვის უნივერსიტეტში ყოფნის დროს. აქ ის უკვე სდგება გარკვეულ საზოგადოებრივ პოზიციაზე. გარემოცვით უკმაყოფილო, ნერვიული, მწარე სიტყვით მეტყველი პოეტი იწყებს რეაქციულ სინადვილესთან თავის გმირულ ბრძოლას: პუშკინის სიკვდილმა მის სულიერ მღელვარებას მისცა გარკვეული ხასიათი. მან ლერმონტოვზე ძლიერი გავლენა მოახდინა: ლერმონტოვმა გადასწყვიტა პუშკინის მკვლელი დუელში გამოეწვია; რჩევა-დარიგებისათვის რაევსკის მიმართა, მაგრამ რაევსკიმ მას ურჩია დაეწერა რამ ამ ტრაგედიის გამო და დუელისთვის თავი დაენებებინა. ასე წარმოიშვა ცნობილი ლექსი: „პოეტის სიკვდილზე“, რომელშიც მოცემულია დახასიათება ნიკოლოზ პირველის გარშემო მოფუსფუსე არისტოკრატიისა, მისი თავაშვებული ცხოვრებისა.

ლერმონტოვმა ამ ნაწარმოებით რუსეთის საზოგადოებრივი მოძრაობის ისტორიაში მოწინავე ადგილი დაიჭირა. უკვე სჩანდა, რომ მის ნებისყოფასა და აზროვნებაში ღვიოდა ცეცხლი დიდი ბრძოლისა, მისწრაფება გარემოცვის გარდაქმნისა და წინსვლისაკენ. ლერმონტოვი თვითეულ თქმაში იძლევა თავის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მისწრაფების გასახიერებას: უკმაყოფილება არსებული მდგომარეობით, პროტესტი, ბრძოლა ადამიანის შემბოჭველ პირობებთან შეადგენენ ლერმონტოვის გმირების სულის მთავარ მისწრაფებას, აქაა მათი დემონიზმის სათავე.

ლერმონტოვის დემონიზმი ბაირონის გავლენით კი არ არის ნაკარნახევი, როგორც ტრადიციულად ფიქრობდნენ, არამედ გამოწვეულია ძველი ბატონყმური და ჩინოვნიკური რუსეთის სინამდვილით: როგორც ბაირონის პოეზია წარმოშვა დასავლეთ ევროპის სოციალ-ისტორიულმა სინამდვილემ, ისე ლერმონტოვის შემოქმედება თავისი ბუნტარულ-დემონიური თვისებებით აღმოცენდა ბატონყმური და ჩინოვნიკური წყობილების წინააღმდეგ ბრძოლის საფუძველზე.

ლერმონტოვი ამდიდრებს რუსულ ლიტერატურას თემატიურ-ფსიქოლოგიური სიახლით, მდიდარი ფაბულებით და პოეტური მეტყველების იშვიათი მელოდიებით; დგება რა გარკვეულ პროგრესიულ-რევოლუციურ პოზიციაზე, ლერმონტოვი ცდილობს შემოიტანოს ლიტერატურაში სასაუბრო-სახალხო კილო: „ანდერძი“, უსათაურო ლექსი, რომელიც იძლევა მოწყენისა და მწუხარების განწყობილების განცდას, რომანი „ჩვენი დროის გმირი“ და მრავალი სხვა, — ლერმონტოვს დაწერილი აქვს ახალი პოეტური სინტაქსით და მეტყველების ისეთი მელოდიით, რომელსაც ლერმონტოვამდე ადგილი არ ჰქონია რუსულ ლიტერატურაში.

ლერმონტოვის მეტყველების წყობაში არის უაღრესად თავისებური და ძლიერი ღაღადი საზოგადოებრივ-ისტორიული, ხალხური განცდებისა: ლერმონტოვი ყოველთვის იწყებს სინამდვილით. ლერმონტოვისათვის ძირითადი, წამყვანი, მიმართულების მაჩვენებელი და წერის სტიმული — ცხოვრებაა, ლიტერატურას ლერმონტოვი უყურებს როგორც საშუალებას, ინსტრუმენტს: ამით აიხსნება, რომ ლერმონტოვის შემოქმედება ყოველთვის ახლოა სინამდვილესთან, ცხოვრებასთან, სოციალურ ტკივილებთან. ლერმონტოვის პოეზიაში მოცემულია ადამიანური ბრძოლა უფრო ლამაზი ცხოვრებისათვის და ჯანყი მოძველებული ყოფა-ცხოვრების წინააღმდეგ.

კოლოსალური ტემპერამენტით შეებრძოლა ლერმონტოვი ძველი რუსეთის სინამდვილეს: ის გაბედულად, ვაჟკაცურად ექვეთა მონობისა და ჩაგვრის სოციალურ წყობას. ნიკოლოზ პირველს ეშინოდა ლერმონტოვისა, მისი საზოგადოებრივი გავლენის და ავტორიტეტის. ამიტომ მეფე სიხარულით შეხვდა პოეტის სიკვდილს: მეორე მხრით ლერმონტოვის სიკვდილმა აალელვა მოაზროვნე და პროგრესიული ხაწილი საზოგადოების: ლერმონტოვი დიდი მხატვრული შესაძლებლობის და გულწრფელობის მწერალი იყო; მას ერთხაირად ემარჯვებოდა ყველა ჟანრი—ლირიკა, ეპოსი, დრამა. მიუხედავად იმისა, რომ ლერმონტოვი დიდი ლირიკოსია, მისი შემოქმედება გამოსახავს ობიექტურ ისტორიულ სინამდვილეს. ლერმონტოვი არასოდეს არ იმალება თავის შინაგან ლირიკულ, სუბიექტურ სამყაროში; ლერმონტოვის ლირიკა ღრმაა, მაგრამ უაღრესად ობიექტური და სოციალური.

ლერმონტოვის მთელი პოეზია გამსჭვალულია ლამაზ ცხოვრებისადმი დიდი ტრფიალებით, ლექსში „მივდივარ გზაზე მე მარტოდ-მარტო“ ლერმონტოვი იძლევა იშვიათ სიზუსტით ადამიანის ისეთ სულიერ განწყობილებას, სადაც ერთად მოცემულია სევდა და სიყვარული: პოეტი დაღლილია ცხოვრების სიმწარით, მას სურვილი ებადება დაიძინოს, მაგრამ არა საფლავის ძილით, არამედ ისე, რომ გულში გრძნობდეს სიცოცხლის ძალას, ხოლო ზევიდან ირხეოდეს და ხმაურობდეს ძველი მუხა.

ლექსში, „იალქანი“, მოცემულია ადამიანის სიცოცხლისა და ბრძოლის სიმბოლიური გამოსახულება: ზევიდან მზე, ქვეით ოკეანის უფსკრული, შუაში მოუსვენარი ადამიანი ეძებს ქარიშხალს, თითქოს ქარიშხალში იყოს დასვენება: ლერმონტოვის პოეზია ფილოსოფიურია. ხოლო ეს ფილოსოფია ცხოვრებისეურია, სოციალურია, ადამიანურია. ლერმონტოვისათვის წერა მხოლოდ საშუალებაა უპასუხოს ცხოვრებას, გარდაქმნას ცხოვრება, ყოველმხრივად შეუფარდოს ის ადამიანურ საჭიროებას და მოთხოვნილებას.

ლერმონტოვმა მისცა ლიტერატურას ხალხური მიმართულება. პუშკინთან ერთად მან რუსულ ლიტერატურას დაუსახა ახალი, დიადი მიზანი, რაც შეიძლება ღრმად გამოეხატა ხალხის უნაზესი გრძნობები და განცდები; ლიტერატურა არა თავისთვის, არამედ ლიტერატურა ცხოვრებისათვის—აი ლერმონტოვის შემოქმედების დედა-აზრი.

ეს თვისება ლერმონტოვის პოეზიისა ხიბლავდა ლევ ტოლსტოის რომელიც თავის თავს თვლიდა ლერმონტოვის მოწაფედ. რაც ბაირონმა ინგლისის ლიტერატურისათვის გააკეთა, რაც გოეტემ გერმანულ ლიტერატურაში შეიტანა, ის ლერმონტოვმა შესძლო თავისებურად და ორიგინალურად რუსულ ლიტერატურაში. ჩვენთვის საინტერესოა ლერმონტოვის სწორედ ეს თავისებურება და ორიგინალობა.

ლერმონტოვს განსაკუთრებული ადგილი უკავია რუსულ ლიტერატურაში იმით, რომ მან შექმნა გარკვეული მიმართულება აზროვნებისა და მეტყველების, გარკვეული ესთეტიური მსოფლგრძნობა: ძირითადი ლერმონტოვის ესთეტურ მიმღეობაში არის გაერთიანება განცდის სიღრმისა და მუსიკალობის;

დღეს განსაკუთრებით მკაფიოდ ჟღერენ პოეტის ის ლექსები, სადაც გამოხატულია მისი უღრმესი პატრიოტიზმი, მისი უწმინდესი სიყვარული დიდი რუსი ხალხისადმი. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია „ბოროდინო“—სადაც იშვიათი მხატვრული სიძლიერით სჩანს რუსი ჯარისკაცის გოლიათური სახე, სულიერი სიდიადე. რუსი ხალხის პირველი სამამულო ომის მგზნებარე პატრიოტიზმით არის აღსავსე ამ ლექსის ყოველი სტრიქონი. როგორც „ბოროდინოში“, ისე „ვალერიკში“, „ანდერძში“, „კაზაკურ იავნანაში“ ლერმონტოვმა მოგვცა შესანიშნავი სურათები ომისა. ამ ნაწარმოებებში ჩვენ გმირი წინაპრების ძლიერი ხმა მოგვესმის, ისინი აძლიერებენ შთამომავლობაში სამშობლოს მგზნებარე სიყვარულს. პოეტმა აღბეჭდა თავის ნაწარმოებებში გმირული სული დიდი რუსი ხალხისა. ამ ნაწარმოებების მნიშვნელობა განსაკუთრებით განუზომელია დღეს, სამამულო ომის დღეებში, როცა საბჭოთა ხალხმა, დიდი რუსი ხალხის მეთაურობით გაანადგურა ფაშისტი ვანდალების შემოსეული ბრბოები.

ლერმონტოვი მებრძოლი სულისკვეთების შემომქმედი იყო. ლექსი „პოეტი“ ამ მხრივ მის საპროგრამო ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოს. აქ მან გამოხატა მძაფრი პროტესტი ნიკოლოზ პირველის ობსკურანტიზმის წინააღმდეგ, იმ სულისშემხუთველი ატმოსფეროს წინააღმდეგ, რომელიც ახშობდა თავისუფალ აზრის ყოველ გაქანებას. მეორეს მხრივ ამ ლექსში მან განსაზღვრა პოეტის მაღალი დანიშნულება, როგორც ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის მებრძოლი მოღვაწისა. რუსული მწერლობის მოწინავე ნაწილს არასოდეს არ გადაუხვევია იმ გზისათვის, რომელიც ლერმონტოვმა დაუსახა ჭეშმარიტ შემოქმედს: იგი მუდამ ეხმაურებოდა ერის კეთილშობილ ზრახვებს და რეკდა როგორც ზარი ვეჩეს კოშკზე ერის ზეიმისა თუ განსაცდელის დღეებში. საბჭოთა პოეზია ღირსეულად განაგრძობს პუშკინისა და ლერმონტოვის ტრადიციას: დიდი სამამულო ომის დღეებში ის იბრძვის როგორც მტერზე შურისსაგებად ამოწვდილი ბასრი მახვილი.

## კონსტანტინე გამსახურდია

# ალექსანდრე აბაშელი*

ოდიშურ მუხისჭიშკარს ახალი მთვარისდარი თვალი ჰქონდა დატანებული. როცა ცხენოსანი ვინმე ჭიშკარს მიადგებოდა და დაიძახებდა, ყველაზე ადრე მე გამოვრბოდი სტუმარის შესახვედრად, მაგრამ ვიდრე კარს გავუღებდი მას, ფრთხილად გავხედავდი ახალმოსულს მზვერავი თვალით, რადგან სოფელში შიშიანობა იყო.

ერთ საღამოს ასწლოვანი კაკლების ქვეშ ვთამაშობდი.

ჰე, მასპინძელო!

შემომესმა ანაზდად.

გავიხედე: კოპიტების ჩრდილს ქვეშ ერთი, შეიარაღებული, ჩოხიანი ჭაბუკი იდგა მდუმარე.

ეს იყო პირველი რევოლუციის ხანა. სოფელში ათასგვარი ლეგენდა დადიოდა „მოქადაგეთა“ გამო. ჩემს ყმაწვილურ ფანტაზიაში ძღევური ანაგობითა და შეუმუსვრელი ძალმოსილებით იყვენ იგინი შემკულნი.

ვნატრობდი: მალე, სულ მალე დავაუკაცებას, თოფის მოხმარისა და ბრძოლის უნარს.

მთელი საღამო გამალებული თვალს ვადევნებდი ჩვენს ოჯახში დასამალავად მოსულ შავგვრემან ჭაბუკს, რომელიც მოკრძალებულად ესაუბრებოდა ბუხრისწინ, მამა ჩემს, ხანაც თავის მშვენიერ, თეთრ კბილებს მიანათებდა ხოლმე ჩემს უფროს ძმას, ალექსანდრეს, მის თანამებრძოლსა და მეგობარს.

ბევრს ლაპარაკობდა თავის ამხანაგების ვაჟკაცობისა და სიჩაუქის გამო, ხოლო საკუთარი მიღწევების გამო, გამოკითხვის დროსაც სდუმდა.

ლიმონისფერი გადასდიოდა სახეზე სტუმარს, საუბრის დროს ცხვირსახოცს იცაცუნებდა წარამარა მიმინოს ჭანგებივით დახრილ ნესტოებზე. ტკბილი, სამური ხმა ჰქონდა უცნობს, სწორი ცხვირი, ნათელი შუბლი, კეთილშობილი ანაგობა.

უცნაურად თეთრსა და გრძელთითებიან ხელებს თავზე გადაისვამდა ხანდახან, როცა მისი შავი კულულები შუბლზე დაუწყებდნენ ცაცუნს.

საერთოდ უფლისწულს ჰგავდა ჩვენი სტუმარი, გვიანი საუკუნოების ტაძრების კედლებზე გამოსახულს. ვუთვალთვალებდი ამ მშვენიერ ვაჟკაცს, უიარაღოდ ბუხრის პირად მჯდარს, გაოცებული ვიყავი: აგეთი „ნაზი ტერორისტის“ ვის შეეშინდება მეთქი. ფრიად გავოცდი, როცა გავიგე გვიან, რომ ამ კაცს თავი ესახელებინა გენერალი ალიხანოვის კაზაკებთან და რეაქციის დროს გამრავლებულ ბანდიტებთან შეტაკებისას უკვე იმ წლებში, როცა მეფისეული დამსჯელი რაზმები გამძვინვარებულნი შეესივნენ დასავლეთ საქართველოს.

ამ პირმშვენიერი უცნობის მაგალითმა პირველად დამარწმუნა ჩემს სიცოცხლეში, რომ ხშირად ვაჟკაცური სული ბუდობს ხოლმე ფაქიზ სხეულში.

* * *

ათიოდე წლის შემდეგ ამ ჩვენი სტუმრის ლექსები გამოჩნდნენ პრესაში, მათ ხელს აწერდა ალექსანდრე აბაშელი.

როგორ წარმოვიდგენდი, თუ ეგ, ჭიშკრის თვალიდან დანახული უცნობი ოდესმე გახდებოდა ჩემი უერთგულესი მეგობარი, ლიტერატურული თანამესაგრე, რაინდი უმწიკვლო და უზადო.

ამგვარი, უაღრესად ჰარმონიული და ბედნიერი ბუნების ადამიანთა გამო უთქვამს ალბათ რუსთაველს: სილბო ჰქონდა ნაქსოვისა და სიმტკიცე ნაჭედისაო. მე არა მგონია არსებობდეს ქვეყნად უფრო დიდი ბედნიერება, ვიდრე გყავდეს ისეთი მეგობარი, რომელშიაც დიდი ტალანტი ბუნებრივად შერწყმულია დიდ ადამიანობასთან.

მწერლობა სხვა არაფერია, თუ არ ემანაცია დიდი კეთილშობილების, სხვა შემთხვევაში იგი ქაღალდის ხარჯვაა ამაო და პროფესიული მანჭვა, რომელიც ვერც თანამედროვეებს მოსჭრის თვალს და ვერც მომდევნო თაობებს. აბაშელი უმღერის კიდევაც ამ კეთილშობილებას: „ვინ დაჩრდილავს პოეტის გულის პატიოსნებას“.

მე ვამტკიცებ: ლექსების, დრამების, გინდ რომანების წერას ყოველი წიგნიერი ადამიანი შესძლებს, უკეთუ მან ლიტერატურის სხვადასხვა ჟანრების ტექნიკაში ხელი გაივარჯიშა, ისეთ მუსიკალურ ენებში, როგორიცაა ქართული, იტალიური, რუსული, ყოველი სანახევროდ ინტელიგენტიც მოაცოდვილებს ბოლორითმოვან ლექსს, რომელსაც ძლივს ჩაათავებ ერთხელ.

მაგრამ გაივლიან ათეული წლები და საუკუნის მიწურულს, ნამდვილად ოქროს მაძიებელთა საწმისში დარჩება სულ რამდენიმე სახელი, ოქროსებრ რჩეული და უზადო.

* * *

გასული საუკუნის ქართული მწერლობის კორიფეებს მრავალი ამოცანა ჰქონდათ დასახული, მათ შორის უმთავრესთაგანი ერთი: ჩვენი ლიტერატურის ორღობის ორწოხებიდან თავის დასახწევად საჭირო იყო უნივერსალიზმის რანგზე მისი აყვანა, საამისოდ აუცილებელი გახდა ლიტერატურის სხვადასხვა ჟანრების ევროპეიზირება.

აზიური უფორმობის დამღა ეტყობოდა მე-17—18 ს. ქართულ მწერლობას, თითქმის ყველას, გურამიშვილსა და ბესიკის გარდა.

აზიური უფორმობის მეთქი, ვამბობ. ცნობილია: აზიაში იშვა თითქმის ყოველი ჟანრი მწერლობისა: შაირი, ოდა, პოემა, ნოველლა, დრამა და რომანი, მაგრამ არც ინდოელებს, არც არაბებს, არც ირანელებს, არ შეუქმნიათ ისეთი სრულქმნილი ფორმები მეტყველებისა, როგორიც შექმნეს ძველმა ბერძნებმა და უფრო გვიან დასავლეთის დიდოსტატებმა.

ნ. ბარათაშვილი და იოანე ბატონიშვილი, გრიგოლ ორბელიანი და აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე და ვაჟა-ფშაველა ილვწოდნენ ამისთვის. დიდი და კეთილშობილი იდეებით, დიადი პატრიოტული პათოსით, დევკაცური სულის სიდიადით მოსილი იყო მათი ნაამაგარი, მათ ხელახალი საძირკველი ჩაუყარეს თითქმის ყოველ დარგს მეტყველებისას, მოთხრობას, ლექსს, დრამას და პოემას, მაგრამ ამ ჟანრის ზენიტზე აყვანა უანდერძეს მეოცე საუკუნის სარდლებს ლიტერატურისას.

უნივერსალიზმი და სრულყოფილი ფორმა ეს იყო და არის უპირატესი ლოზუნგი ჩვენი ეპოქის ქართული მწერლობისა. ამ საუკუნის მიწურულში ალბათ შვიდიოდე სახელი მოიხვეჭს ახალ ელვარებას. მათ შორის პირველთაგანი იქნება უთუოდ ალექსანდრე აბაშელისა.

ფორმათა სრულყოფისთვის ბრძოლას ნურავინ აურევს ფორმალიზმში. დიდი და იდეური მწერლობა ფორმალიზმის ნაჭუჭში არაოდეს დატეულა. საამისოდ აბაშელს არც პატრიოტიზმი ჰკლებია ოდესმე, არც მოქალაქური გრძნობა.

ალ. აბაშელი მოვიდა პოეზიაში როგორც ოსტატი. მისმა ლექსებმა მოულოდნელად გაიშრიალეს და მორთეს თვალისმომჭრელი კაშკაში უცნაური კალეიდოსკოპის ფერთა სიმრავლით აციმციმებულთა.

ჩვენს ეპოქაში უკვე აღარავის სჯერა სერიოზულად პრიმიტიული და ინსტინქტიური მწერლობის ამბავი. თუ ადამიანი თავისი თანადროული ინტელექტისა და სიტყვიერი კულტურის დონესთან არაა გათანაბრებული, იგი თანადროულ ეპოქას ვეღარ დაამშვენებს.

საამისოდ ორი რამ არის მიუცილებელი: ერთია ინტელექტუალური სიმწიფე, ხოლო მეორე ოსტატობა.

აბაშელი შემოვიდა მწერლობაში როგორც ოსტატი და გაგვაოცა არა მარტო ხელოვანებით, არამედ ინტელექტუალური სიმწიფითაც.

გაჭირვებული ოჯახიდან გამოსულმა ჭაბუკმა საკუთარი ენერგიით გაიკაფა საკმაოდ მძიმე ცხოვრების სარბიელი და მსოფლიომოვლილ, მაღალი განათლებით აღჭურვილ თანამედროვეებს ამოუდგა გვერდით.

აბაშელის ნათელი ლანდშაფტები, მზეების სიცილი და მთვარის კაეშანი ნელი სევდით არიან მოვარაყებულნი, მისი წკრიალა ლექსები ფოლადისებრი სიმტკიცით არიან ნაჭედნი, მათ თანასდევთ უტყუარი ელვარება რჩეული ოქროსი, ხალისიანი ციმციმი გუთნის შვიდეულისა და ფოიერვერკული ელვა მოულოდნელ ბოლო რითმებისა და სახეებისა, პარაბოლური მეტყველების დაწურული სიბრძნე. იგი ხანდახან ეროტიულიც არის, მაგრამ ოდნავ დარცხვენილი, მისი ლირიკა ბერძნულ ლეკიფივით გამჭვირვალეა და რხეული.

აბაშელი ერთის შეხედვით სიცოცხლეს დახარბებულა თითქოს, მზის ამოსვლათა და ღამეული ფერების მოტრფიალე,—დაუცხრომელი მოთვალთვალე ამ პლანეტების ფერადოვან კალეიდოსკოპისა, ხანაც დაფიქრებული სიკვდილისა და შობის გარდაუვალ კანონთა გამო, ხან მეოცნებე და გარინდებული, მიუხედავად ამისა, მის მსოფლშეგრძნობას საფუძვლად უძევს ხალისიანი მრწამსი ჯანმაგარი ქართველი ხალხისა, რომელმაც ოცზე მეტი საუკუნის მანძილზე გაუძლო ისტორიის უწყალო ქარბორბალას.

გათენებათა და შეღამებათა ნაჩრდილევისა და ნაშუქარის უებრო მხატვარი, იგი ზომიერია და მშვიდი, ჩუმი და ჩუმად დამტკბარი, დაუცხრომელი მჭვრეტელი ამ სამყაროს ფერთა სიუხვისა.

იგი როდი გაღელვებს, არამედ გამშვიდებს, როდი გასწავლის, არამედ გაოცებს, როდი გაშფოთებს, არამედ გარიგებს ბუნებისა და საწუთროს უცნაურობასთან, ხანაც დარდიანად იღიმება, გარდაუვალ კანონთა რკინის ლოგიკის შემცნობი.

იგი უდრტვინველად შერიგებულია სიკვდილთან და გარდავლენასთან, რომელთა ელემენტები წინასწარ მოცემულია როგორც ქარვის შემოდგომათა ჭკნობაში, ისე მზეზე აღბეჭდილ ტალღებში, გაზაფხულის ფოთლების ყუნწში, გინდ ყვავილების ფაქიზ ჯამებში.

აბაშელი დიდის სიყვარულით უმღერის მზესა და მის მარჯაფა ცთომილებს, გაოცებული შესცქერის ასტრალურ ბუნებას ზესკნელისას, მაინც რიჟრაჟების მოტრფიალეა და ამომავალ მზეთა მეხოტბე: „ჩემი სიტყვა ცეცხლის ფრთაა, უხილავი ანგელოსის, ჩემი ენა მუსიკაა, ტკბილი ქნარი ეოლოსის“.

მართლაც დიდი მუსიკალობითაა აღბეჭდილი მისი ლექსი. ოდიშის ნისლიანი იალონები, შავი ზღვისპირა ჭაობების ისლის შრიალი, თბილისურ შემოღამებათა მშვენება, ქართული ბარის ლანდშაფტები, ჩვენი მთიანეთის, ჩვენი მდინარეებისა და ტყეების შხუილი ისეთ დონეზეა შექმნილი, რუსის, ფრანგის, გინდ ინგლისელის გულსაც მოხვდება.

აბაშელი უნივერსალურია არა მარტო მაშინ, როცა პლანეტების კადრილს აგვიწერს ხოლმე, არამედ მაშინაც, როცა საკუთარი მამულის ლანდშაფტებსა და ფერადებს ხატავს მინანქარული ფერწერით.

მე ჯერ არ წამიკითხავს არც ერთი კარგი თარგმანი მისი ლექსებისა, მაგრამ თუ ოდესმე არა ქართულად მეტყველმა პოეტებმა შესძლეს მისი სათუთი ფერადებისა და ბგერების სხვა ენებზე გადატანა, ალ. აბაშელი ისევე ასახელებს ჩვენს პოეზიას, ჩვენი ქვეყნის გარეშეც, როგორც ეს უქნიათ მის დიდ წინაპრებს.

მრავალი შედევრით გაამდიდრა მან ჩვენი პოეზია. მათ შორის ჩემის აზრით უბრწყინვალესია „ქვის ირემი“, რომელიც თავისი ღრმა ემოციურობით და ვირტუოზული კომპოზიციით თამამად გვერდით ამოუდგება მსოფლიო ლირიკის შედევრებს.

* * *

მეოცე საუკუნის პირველ მეოთხედში ხელოვნებაში თავი იჩინეს ექსტრემალურმა მიმართულებებმა: ფუტურისტებმა, იმაჟინისტებმა, დადაისტებმა და ექსპრესსიონისტებმა. მათ იქადაგეს და პრაქტიკულადაც განახორციელეს ანარქიული რღვევა მრავალ საუკუნეთა მანძილზე დადგენილ ფორმებისა.

ყოველ თანამედროვე ოსტატს ასე თუ ისე უნდა განეცადა ეს ზედგავლენანი, აბაშელსაც არ აცდენია ისინი, მაგრამ აქ ზომა იყო საჭირო და მუდამ ზომიერი აბაშელიც უვნებლად გადაურჩა ამ მოარულ სახადს.

გადაჭარბების სენით დაავადებულნი ოცი წლის მანძილზე ამაოდ ამტვრევდნენ ლექსებს, რომანისა და ნოველის ნაცვლად უხეირო ნარკვევებსა და „ფაქტოლოგიურ პროზას“ ჩმახავდნენ.

ხელოვნებათა ამ გაუგონარი ფილოქსერის ნაცვლად საჭირო გახდა ჩვენი ხელისუფლების მითითებით კლასიკოსების ფარზე აყვანა.

ეს ზომები დროზე რომ არ მოეშველებინათ ჩვენთვის, ნამდვილ ლიტერატურას უხეირო ნარკვევის კაჭაჭი წაილებდა, ხოლო მხატვრობა იქცეოდა ტილოების ირაციონალურ თითხნად.

* * *

ილიას, აკაკის და ვაჟას სიკვდილის შემდეგ ქართულ მწერლობაში ჩამოდგა უდიდესი კრიზისი, ჟანრები დაქვეითდნენ, ქართული სიტყვა დაეცა. ამ პერიოდს დაემთხვა ის ლიტერატურული ფილოქსერა, რომელიც შემოიტანეს ჩვენში უცხო გავლენათა ვერ მომნელებელმა უმწიფარმა მწერლებმა.

სულ რამდენიმე კაცმა იკისრა ქართული ლექსის, რომანის და დრამის განახლება, ამ ჟანრების მაღალ რანგზე აყვანა, განახლება ქართულ პოეტური მეტყველებისა, გამდიდრება ქართული ლექსიკისა, ბრძოლა იმ კუთხური მწერლობის წინააღმდეგ, რომელმაც ფეხი მოიდგა „ორღობის მწერლების“ ნაცოდვილარში. როცა ამ მოვლენების აღნუსხვის ჯერი მიდგება მომავალი მეისტორიე ჩვენი მწერლობისა სულ შვიდიოდე სახელს დაითვლის, მათში პირველთაგანი იქნება აბაშელის სახელი.

მას იმ თავიდანვე ჰქონდა მომარჯვებული მოდერნული ლექსის ინსტრუმენტი, ვის არ ახსოვს მისი „სსს... შშშ“, „ჩაჰქრა დილა“, ციკლები „მზე“, „მზის სიცილი“ და სხვანი.

უფრო მომწიფებულ პერიოდს ეკუთვნის პოემა „შორეული ნაპირი“ და ნოე ჩხიკვაძისადმი მიძღვნილი ლექსი.

* * *

ისინი, ვინც გაიოლებულ გზებს მიჰყვებიან მწერლობაში, ე. წ. პოლიტიკურ პოეზიასაც ადვილად უთამამდებიან. არსებითად ეს უძნელესი დარგია. აქ საჭიროა დიდი ვირტუოზობა და გონებამახვილობის ელვა. ასეთ ლექსებს სწერდნენ ხოლმე პოლიტიკურ თემებზე ლორდ ბაირონი და ჰაინრიხ ჰაინე, პუშკინი და ვიქტორ ჰუგო. ჩვენი დაუვიწყარი აკაკი წერეთელი აქაც ოსტატი იყო საერთოდ.

პოლიტიკურ პოეზიაში არა ნაკლები ხელოვნების გამოჩენა სჭირია პოეტს, რამდენადაც ტენდენცია ოსტატურად უნდა იქნას შეფარვული.

აბაშელმა აქაც გაგვაოცა თავისი ვირტუოზობით.

სტალინურ ეპოქის დიდი ჰეროიზმი ბუნებრივად მოითხოვდა დიდი სტილის ლიტერატურას.

აბაშელმა ოსტატურად გამოსახა ეს მომენტი.

„მაგრამ მე ვამბობ კაცი პატარა, რომ იმ მწვერვალზე უფრო მაღლა ვარ, რადგან არწივის ფრთებმა მატარა, რადგან სტალინის დროშას ვახლავარ“.

ჩვენი ქვეყანა და ჩვენი ეპოქა მუდამ იამაყებს ლენინის, სტალინის და მათი უერთგულესი მოწაფის ლავრენტი ბერიას დიდი სახელებით.

ისტორიაში მუდამ ასე ყოფილა: დიდი მასშტაბის პოლიტიკური ტრიბუნები შთააგონებდნენ და საასპარეზოდ იწვევდნენ ხოლმე საუკეთესო მწერლებს.

ხსენებულმა დიდმა ნებისკაცებმა ისე მაღლა ასწიეს ჩვენი კულტურის დონე, ბუნებრივია სავსებით, რომ სტალინურმა ეპოქამ წარმოშვა არა ერთი და ორი ოსტატი სიტყვისა ჩვენი საუკუნის უკეთილშობილეს გრძნობებისა და იმედების გამომსახველი.

როცა ამ ოსტატებს ჩამოითვლიან ჩვენი ეპოქის მეისტორიენი, ალექსანდრე აბაშელის სახელსაც სიამაყით ახსენებენ მომავალი თაობები უთუოდ.

*) წიგნიდან: „ქართული პორტრეტები“.

## გერონტი ქიქოძე

# სიბრძნე ბალავარისა

### ძველი და ახალი შენიშვნები

„სიბრძნე ბალავარისა“ მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის ლიტერატურული ძეგლია. იგი, პირველი შეხედვით, თითქო ჰაგიოგრაფიული მწერლობის დარგს ეკუთვნის, მაგრამ როგორც თავისი შინაარსით, ისე თავისი ფორმით არსებითად განსხვავდება ამ დარგის ცნობილი ტიპიური ნიმუშებისაგან. რელიგიური მოღვაწეების ბალავარის და იოდასაფის ბიოგრაფიასა, მათი ცხოვრების და ღვაწლის აღწერასთან ერთად ის შეიცავს თეოლოგიური და მორალური ხასიათის მსჯელობათ, რაცა მას ღრმა თეორიულ ღირებულებას აძლევს. ავტორი მსჯელობს, ანუ უკეთ ვთქვათ, თავისი მოთხრობის მომქმედ პირებს ალაპარაკებს მატერიის და სულის ურთიერთობაზე, საიქიო ცხოვრებაზე, საამქვეყნიო ცხოვრების სიამოვნებათა მიმღეობასა და უარყოფაზე, პიროვნებისა და მორწმუნეთა კრებულის ურთიერთობაზე და სხვ. ეს საკითხები სპირიტუალისტური ფილოსოფიის და ასკეტური მორალის თვალსაზრისითაა განხილული. ამქვეყნიური ცხოვრება წარმოდგენილია ვითარცა აჩრდილი, რომელიც წარვალს და ვითარცა კვამლი, რომელიც განქარდების.

მაგრამ „ბალავარის სიბრძნის“ ავტორი არის არა მარტო ღრმა მოაზროვნე, რომელიც საუცხოოდ ერკვევა რელიგიური აზროვნების საკითხებში, ის აგრეთვე დიდი მხატვარიცაა, რომელიც დრამატიულად ანვითარებს თავის სიუჟეტს და მასში თავისი აზრების გასამტკიცებლად, დიდი ხელოვნებით, ურთავს იგავარაკებს ან პატარა ნოველებს, რომელნიც ამ ნაწარმოებს განსაკუთრებით საინტერესო საკითხავ წიგნად ხდიან. როგორც თავისი იდეოლოგიის, ისე მხატვრული ფორმის შეგრძნობით ის სდგას ორი დიდი სამყაროს, ბუდისტური აღმოსავლეთის და ქრისტიანული დასავლეთის მიჯნაზე, მისი შემოქმედება აშკარად ორი უდიდესი მსოფლიო რელიგიის, ბუდიზმის და ქრისტიანობის, გავლენის ნიშანს ატარებს.

თუმცა „სიბრძნე ბალავარისაზე“ თითქმის ყველა კულტურულ ენაზე მრავალი მეცნიერული გამოკვლევა დაიწერა, მაგრამ მისი წარმოშობის საკითხი დღემდე საბოლოოდ არაა გამორკვეული. წიგნში მოთხრობილია ქრისტიანობის გავრცელების ამბავი ინდოეთში მეფისწულის იოსაფატის ანუ იოდასაფის მიერ, ეს სახელი ბუდის ანუ ბოდისატვის შეცვლილ ფორმას წარმოადგენს. ევროპიელ მეცნიერთა ერთი დიდი ჯგუფი იმ აზრისაა, რომ მოთხრობის პირვანდელი ვარიანტი დაწერილი უნდა ყოფილიყო ფალაურ ენაზე და მას თავდაპირველად წმინდა ბუდისტური ტენდენცია უნდა ჰქონოდეს. შემდეგ ის თითქო მეექვსე-მეშვიდე საუკუნეში ფალაურიდან სირიელმა ქრისტიანებმა თავიანთ დედაენაზე გადათარგმნეს, ინდოელი პრინცი და რელიგიური მოღვაწე ქრისტიან წმინდანად აქციეს და მთელი ნაწარმოების იდეოლოგია ქრისტიანული დოგმატიკურ-მორალური აზროვნების მოთხოვნილებათ შეუთანხმეს. მაგრამ რადგან არც ფალაური და არც სირიული ვარიანტი დღემდე აღმოჩენილი არ არის და არც რაიმე ნიშანი არსებობს, რომ ისინი მომავალში აღმოჩნდებიან, ზემოთმოყვანილი აზრი ამ მოთხრობის წარმოშობის შესახებ ჰიპოთეზად რჩება.

„სიბრძნე ბალავარის“ ყველაზე არქაული რედაქცია დღემდე აღმოჩენილია ორ ენაზე, სახელდობრ ქართულსა და არაბულზე. ყველა არსებული რედაქციებიდან ეს უკანასკნელი იმით განსხვავდება, რომ ის ლექსადაა დაწერილი და მასში არაფერია ნათქვამი ქრისტიანობის ქადაგებაზე. საერთოდ არაბულ ვარიანტში ქრისტიანული ელემენტი თითქმის არ მოიპოვება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იგავს მთესავზე და სირიელი ბერების მოხსენებას. ყველაზე ცნობილი და ძველი არაბული რედაქცია ეკუთვნის ჰარუნ ალ რაშიდის დროის პოეტს ლახიკის, რომელიც მერვე საუკუნის მეორე ნახევარში ცხოვრობდა. თუმცა დღეს უარყოფილად უნდა ჩაითვალოს ე. თაყაიშვილის მიერ ფრთხილად გამოთქმული მოსაზრება, რომ „სიბრძნე ბალავარის“ ავტორი შეიძლება საბას ლავრაში მცხოვრები ქართველი ბერი იყო და მოთხრობა თავდაპირველად ქართულად დაიწერა და არა სხვა რომელიმე ენაზეო, მაგრამ ქართულ რედაქციას მაინც უდიდესი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ქართული ვარიანტი ყველაზე ნაკლებ დატვირთულია სქოლასტიკურ ღვთისმეტყველური ელემენტებით, თავისი პრიმიტიულობით და არქაულობით ის ყველაზე ახლოს სდგას ქრისტიანული აზროვნების პირველ წყაროებთან. ამას გარდა დღეს უცილობლად დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს, რომ ყველა შემდგომი ქრისტიანული რედაქციები, ბერძნული, ლათინური და ახალ ევროპიული, ქართული ვარიანტიდან მომდინარეობენ. ბელგიელმა მეცნიერმა პეეტერსმა ურყევი საბუთებით დაამტკიცა, რომ სწორია გიორგი მთაწმინდელის ცნობა, რომელიც ევთიმე მთაწმინდელის ბიოგრაფიაში ამბობს, ამ უკანასკნელმა ქართულიდან ბერძნულად, სხვათა შორის, „სიბრძნე ბალავარისა“ თარგმნაო. როგორც ცნობილია, ანალოგიური ცნობა ევთიმე მთაწმინდელის მიერ ამ მოთხრობის ბერძნულად გადათარგმნის შესახებ მოიპოვება ორ ძველ ბერძნულ ხელნაწერშიც (ვენეციის წმ. მარკოზის და პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკებში).

მაგრამ ევთიმე მთაწმინდელის მიერ შესრულებული ბერძნული რედაქცია არ წარმოადგენს „ბალავარის სიბრძნის“ ქართული ვარიანტის ზუსტ თარგმანს; მას ის შეუვსია, განუვრცია, დაუტვირთავს დოგმატიკური მსჯელობებით და ქრისტიან ბერძენი მწერლებიდან ამოღებული ციტატებით. როგორც იგივე პეეტერსი ამტკიცებს, დაახლოვებით ოცი წლის შემდეგ ევთიმე მთაწმინდელის სიკვდილიდან, დაახლოვებით მეთერთმეტე საუკუნის ნახევარში „სიბრძნე ბალავარისა“ უკვე ბერძნულიდან ლათინურად უთარგმნიათ, ისე რომ შიგ მნიშვნელოვანი ცვლილებანი აღარ შეუტანიათ. ლათინური ენიდან მოთხრობა ახალ ევროპიულ ენებზეც გადაითარგმნა და საერთოდ მთელი ევროპიული ქრისტიანული სამყაროს კუთვნილებად იქცა.

„სიბრძნე ბალავარისა“ საყვარელ საკითხავ წიგნად ითვლებოდა მთელი საშუალო საუკუნეების მანძილზე, და, როგორც ხელნაწერთა შედარებითი სიმრავლე ამტკიცებს, ის პოპულარული ყოფილა ძველ ქართველ საზოგადოებაშიც. დასავლეთ ევროპაში მან გავლენა მოახდინა არა მარტო ფილოსოფიურ აზროვნებასა და მორალურ შეგნებაზე, არამედ მხატვრულ ლიტერატურაზეც; კერძოდ ესპანელი დრამატურგების ლოპე დე ვეგას „Barlan y Josafa“ და კალდერონის „La vida es sulno“ („ცხოვრება სიზმარია“) ამ წიგნის ზეგავლენითაა დაწერილი. მისი ზეგავლენა ეტყობა აგრეთვე შექსპირის „ქარიშხალს“, სადაც იგივე აზრია გამოთქმული, რაც „ვისრამიანში“: „ქვეყანა ძილია და ჩვენ მას შიგან სიზმართა ვგავთ“.

* * *

ისეთი ლიტერატურული ნაწარმოების წარმოშობა, როგორიცაა „ბალავარის სიბრძნე“, პირველი შეხედვით, ძნელად გასაგებ მოვლენას წარმოადგენს. დაახლოვებით ოცი საუკუნის წინათ იორდანის ნაპირებზე, ხოლო ოცდახუთი საუკუნის წინათ განგის ნაპირებზე შეიქმნა რელიგიური სისტემები, რომელნიც თავიანთი ფილოსოფიური სიღრმით და ზნეობრივი შინაარსით ყველა სხვა რელიგიურ სისტემას სჭარბობენ. *) ბუდიზმიც და ქრისტიანობაც რეფორმატორების როლში გამოვიდნენ, პირველი ბრამანიზმის, ხოლო მეორე იუდაიზმის წინააღმდეგ. მაგრამ ეს რეფორმა, უწინარეს ყოვლისა, მორალის დარგს შეეხო: მათ თითქმის ხელუხლებლად დასტოვეს ძველი კოსმოგონიური და მეტაფიზიკური შეხედულებები, ბევრი რამ ისესხეს იქიდან, ახ კიდევ მათი განახლება მომდევნო თაობებს უანდერძეს.

ქრისტიანული კოსმოგონია და მეტაფიზიკა რადიკალურად განსხვავდება ბუდისტური კოსმოგონიისა და მეტაფიზიკისაგან. მთელი თავისი არსებობის მანძილზე ქრისტიანობას ბრძოლის წარმოება უხდებოდა წარმართულ პოლიტეიზმსა, ებრაულ მონოტეიზმსა, მაჰმადიანობასა, მწვალებლურ სექტებთან, ბუდიზმთან კი მას თითქმის მჭიდრო ურთიერთობა არ ჰქონია არც ტერიტორიის და არც იდეოლოგიის დარგში. ეს უდიდესი რელიგიები წარმოშობისთანავე ერთმანეთს საკმაოდ დაშორებული იყვნენ ტერიტორიულად. ვერც ერთმა მათგანმა საბოლოოდ ფეხი ვერ მოიკიდა თავის პირვანდელ სამშობლოში: მათ თითქმის ერთმანეთს ზურგი შეაქციეს და პალესტინიდან გამევებულმა ქრისტიანობამ წინა აზია და ევროპა დაიპყრო, ხოლო ინდოეთიდან გაძევებულმა ბუდიზმმა ტიბეტი, მონღოლია, ჩინეთი, იაპონია, ბირმა და ცეილონი. ამრიგად წარმოიშვა ორი უზარმაზარი მსოფლიო, რომელნიც თითქმის სრულიად უცხონი არიან ერთმანეთისთვის.

მაგრამ, როგორც ეტყობა, ეს ყოველთვის ასე არ ყოფილა: მეშვიდე საუკუნის პირველ ნახევრამდე, სანამ მაჰმადიანობა თავის ძლევამოსილ მსვლელობას დაიწყებდა და ქრისტიანულ დასავლეთსა და აზიის კონტინენტს შორის სოლივით შეიჭრებოდა, ქრისტიანებსა და ბუდისტებს მშვიდობიანი შეხვედრები უნდა ჰქონოდეთ ერანის, სირიის და თვით ინდოეთის მიწაწყალზე. ამ შეხვედრების ნიადაგზე უნდა წარმოშობილიყო ქრისტიანულ და ბუდისტურ ფილოსოფიურ-მორალურ შეხედულებათა ორიგინალური სინტეზი, რომელიც საფუძვლად უძევს „ბალავარის სიბრძნეს“.

ამ სინტეზის შექმნა ადვილი არ იქნებოდა, ვინაიდან ქრისტიანული აზროვნების წინააღმდეგ ბუდიზმი არ სცნობს, რომ სამყარო შემოქმედი ღმერთის მიერ იყოს გაჩენილი და ნაწილობრივ კეთილი დასაწყისის განხორციელებას წარმოადგენდეს. მაშინ როდესაც უდიდესი ქრისტიანი ფილოსოფოსი ნეტარი ავგუსტინე ამტკიცებდა, სამყარო კეთილი ღმერთის მიერ არარაობისაგან არის გაჩენილი და თავის თავში პოზიტიურ და ნეგატიურ ელემენტებს შეიცავსო, ბუდიზმი სამყაროს არსებითად მხოლოდ არარაობად და ბოროტებად სთვლის. ბუდიზმი ყველაზე პესიმისტური რელიგიურ-ფილოსოფიური სისტემაა, რომელიც კაცობრიობას ოდესმე შეუმუშავებია. ის რაც ჩვენ რეალობად გვეჩვენება, ბუდიზმის შეხედულებით მხოლოდ მოჩვენება და ცდუნებაა, მაიას საბურველი, მორთოლვარე ფერების და ფორმების ბალღური თამაში. თვით ადამიანის სიცოცხლე მხოლოდ ციებცხელებიანი სიზმარია. უდიდესი ბოროტება დაბადებაა, ხოლო უდიდესი სიკეთე—არყოფნა. ბუდიზმი თითქო ორნაირი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა. პირველი ინტერპრეტაციით ღმერთი არც ბუნების გარეშე არსებობს, არც სამყაროს გაჩენამდე არსებულა. ღმერთი და სამყარო არსებითად ერთი და იგივეა. ამრიგად გაგებული ბუდიზმი უფრო ახლო სდგას პანთეიზმთან, ვიდრე თეიზმთან ან ათეიზმთან. მეორე ინტერპრეტაციით, რომელიც უფრო სწორად უნდა გადმოსცემდეს პირვანდელ ბუდისტურ აზროვნებას, უზენაესი არსება ღმერთი კი არ არის, არამედ ადამიანია. ღმერთები ანუ დევები ადამიანზე დაბლა სდგანან და მომაკვდავნი არიან. ამრიგად გაგებული ბუდიზმი ათეიზმის ერთს სახეობას წარმოადგენს.

ადამიანის ტანჯვა არ ისპობა მისი სიკვდილის შემდეგაც: მას დაუსრულებელი ემიგრაცია, დაუსრულებელი გარდახორციელება ელის; ის შეიძლება, ოცდარვა ჯოჯოხეთის გავლის შემდეგ, ხელახლა მიწიერი არსებობის ვიწრო საკანში დაბრუნდეს და ისიც უკანასკნელი კიგინდარას ძონძებში გახვეული, ან, რაც კიდევ უფრო სავალალოა, ქვად, კვახად, ვეშაპად, სახედრად, გომბეშოდ გადაიქცეს, შეიძლება მამაკაცს უბედურება ეწვიოს და ქალად იქცეს. მაგრამ ისიც შეიძლება მოხდეს, რომ სრულქმნილი ქალი მამაკაცად გარდახორციელდეს.

როგორ შეუძლია ადამიანს თავი დააღწიოს ამ საშინელ პერსპექტივას, გავიდეს არა მარტო ცხოვრებიდან, არამედ არსებობიდანაც და საბოლოო მიზანს—არყოფნას მიაღწიოს? ამისათვის მხოლოდ ერთი გზა არსებობს: უარის თქმა თავის განცალკევებულ არსებობაზე, თავის მეობაზე, ყველა მიწიერი ილუზიის უარყოფა, ყველა გრძნეული გულისთქმის ჩახშობა, ბოლოს, რაც მთავარია, თვით სიცოცხლის ნებისყოფის დათრგუნვა და აღკვეთა. ამრიგად ადამიანი ბუდისტური ზეცის უფორმო და უფერადო სფეროში—ნირვანაში ადის, სადაც მას სამოთხის ნეტარება კი არ ელის, არამედ განთავისუფლება ყოველი აზრისა და უაზრობისა, ყოველი ტანჯვისა და სიამოვნებისაგან, და სადაც მისი სული უსაზღვრო სიცარიელეში ინთქმება. ეს განთავისუფლების მდგომარეობა ღრმა უსიზმრო ძილს ჰგავს.

ძნელია რომელიმე მეორე მსოფლმხედველობის წარმოდგენა, რომელიც ისე დაშორებული იყოს ქრისტიანობას როგორც ეს ნიჰილისტური და პესიმისტური სოფლმხედველობაა. მით უფრო გასაოცარია, რომ ამ რელიგიებმა რამდენიმე მაინც საერთო ენა გამონახეს წმინდა ზნეობრივი მოძღვრების დარგში.

როგორც ახალგაზრდა უფლისწულს შეეფერებოდა, საკია მუნი, გადმოცემის თანახმად ნებიერ ცხოვრებას ატარებდა, სანამ ის ბუდა, ე. ი. ცნობიერი და ნათელმხილველი გახდებოდა. მას ცოლშვილი ჰყავდა. სასახლის გალავანმა ის ვერ დაიცვა, რომ სნეულებისა და სიბერისაგან მიხრწნილი ადამიანები და სამგლოვიარო პროცესიები დაენახა. ოცდაცხრა-ოცდაათი წლის ასაკში მან დაიწყო სიბერის და სიკვდილის ამოცანაზე დაფიქრება, რამაც მას ჭაბუკური მხიარულება წაართვა. მან თმა და წვერი მოიპარსა, ყვითელი ტანისამოსი ჩაიცვა და სალარობო მოგზაურობა დაიწყო ჯამით ხელში.

ისევე როგორც ქრისტიანული, ბუდისტური მორალის თვალსაზრისითაც უპირველი მცნება მოყვასის შეწყალება და სიყვარულია. სოციალური და რასობრივი ზღუდეები გადალახულია და კაცობრიობა წარმოდგენილია როგორც ძმური გაერთიანება. ბუდისტი ამ სიყვარულის კავშირს უფრო ფართოდ ავლებს ვიდრე თვით ქრისტიანი, ის მას ცხოველებზედაც ავრცელებს. თავდაბლობა, ბოროტებისათვის წინააღმდეგობის გაუწევლობა სათნოებად არის მიჩნეული. ამავე თვალსაზრისით გამოცხადებულია, რომ ხსნა უფრო ძნელია მდიდრებისათვის, ვიდრე ღარიბებისათვის, რომ მისი მიღწევა მხოლოდ [illegible] ზნეობრივი ღვაწლით შეიძლება [illegible]. დამახასიათებელია, რომ ბუდას შობის [illegible] დის მიხედვით, [illegible] ხდება: როდესაც მან გადასწყვიტა ამ ქვეყნად მოევლინა, მთელი სამყაროს გადაავლო თვალი და აირჩია [illegible], რომლის წიაღში ჩაისახა [illegible] სახით.

ბუდიზმის და ქრისტიანობის დამოკიდებულება ქალისადმი ორმაგია: [illegible]

[illegible]

„ბალავარის სიბრძნეში“ [illegible]

[illegible]

*) ბუდისტური მოძღვრების საუკეთესო გაგებას, ჩვენის აზრით, ი. ტენი იძლევა. იხ. მისი Nouvaux essais de Qritique et d'histoire

**) ბუდას და მეძავი ქალის სიყვარული საუცხოოდ გამოხატა გოეთემ თავის ბალადაში „ღმერთი და ბაიადერა“.

## შალვა დადიანი

# ზე-აღმაფრენი, ვაჟკაცური პოეზია

რამდენჯერ თქმულა, რომ ნამდვილ სიყვარულს ცოტა სიტყვები აქვსო...

მე კი მიყვარს ეს პოეტი, რომელიც უკვე ხანდაზმულობისაკენ გადაიხარა და ზურგზეც ოცდახუთმეტი წლის პოეტური საგზალი ჰკიდია.

თუმცა ვის არ უყვარს ისეთი აღმაფრენის პოეტი, როგორიც ალექსანდრე აბაშელია, მაგრამ ყველა შეყვარებულს ჰგონია, რომ მხოლოდ მისი გრძნობაა უნაზესი და ამ გრძნობაში მას სხვა ვერვინ დაედარება.

მეც ეგრე ვარ ამჟამად და, თუ რასმე ვიტყვი, ისიც ზოგადად, თან შეიძლება აქ საბოდიშოდაც გამიხდეს საქმე, რადგან პოეტს მე ტენორს ვადარებ:

მომხიბვლელია მისი ტემბრი, ზეაღმტაცი, ბრძოლად მწვევი, ვაჟკაცური და სიყვარულის აღმგზნები.

მაგრამ... დიდხანს ვერ მღერის. შემოფარგლულია მისი დრო, ხანგრძლიობა მომღერლისა. იშვიათია, რომ ტენორი ოცი-ოცდაათი წელიწადი განუწყვეტლივ მღეროდეს და თავისი მომხიბვლელობა შეინარჩუნოს: ან ხმაში დააკლდება „მეტალი“, ან გარეგნობა შეეცვლება „სადარბაისლოდ“.

ჭაბუკობის ხანაა საუკეთესო ტენორისათვის.

ასე მეჩვენება პოეტისათვისაც.

ზოგი ამას თვითონ გრძნობს და პოეტობას არ სტოვებს, ვერც დასტოვებს თუ კი ის ამისათვის მართლა მოწოდებულია, მაგრამ გადადის სხვა ჟანრზე და ლექსთა თხზვას უკვე ერიდება.

მაგრამ არის საბედნიერო გამონაკლისები და ამ ბედნიერებს პოეტი აბაშელიც ეკუთვნის.

მილტონმა ხანდაზმულობის ჟამს დასწერა თავისი შესანიშნავი „დაკარგული სამოთხე“. ინგლისელი ტენისონი ღრმა მოხუცებული იყო, მაგრამ საუცხოოდ სწერდა თავის კოხტა ბალადებს და პოემებს.

მისი ნაწერები აკადემიურია, ამ სიტყვის მაღალი მნიშვნელობით.

ასეთია ჩვენში აბაშელიც: სიტყვა ფაქიზი და გამჭვირვალე ჟღერს „ეოლოსის ქნარივით“. არავითარი ტრივიალობა და ბანალობა არ სჩვევია მის კალამს. და მისი ლექსთა კონა მუდამ მაღალხარისხოვანია, უხინჯო, სანიმუშო.

ალექსანდრე აბაშელს ერთ დროს მზის პოეტი დაარქვეს. პოეტის შემოქმედების ახლანდელმა ეტაპმა დაამტკიცა, რომ ეს არ იყო შეცდომა.

ეხლა თვალ-ნათლივ ვხედავთ: როდესაც სტალინის მზემ დიდათ გაანათა ჩვენი ქვეყანა, როგორ ფრთები გაისწორა პოეტმა და იწყო ნავარდი პოეზიის ცის სივრცეში.

აბაშელი დაუბერებელ პოეტთა რიცხვს ეკუთვნის და... ახლა ჩვენ მისგან კვლავ მოველით მონუმენტურ, პოეტურ დიდ ნაწარმოებს.

## ხარიტონ ვარდოშვილი

# ალექსანდრე აბაშელს

საზე ჭაღარით შეგივერცხლა წელთა სიმძიმემ,
მაგრამ კვლავ იმღერ ჭაბუკური ცეცხლით გზნებული.
გიყვარს ლაჟვარდი მზის ღიმილით აჟღერებული.
შენს სიმღერაში ალმასი კრთის, ოქრო ციმციმებს.

მარად ათრთოლებს შენი ქნარის უნაზეს სიმებს —
იდუმალება მოშრიალე ვარსკვლავთ კრებულის,
დღეს არ გებურვის სიმძიმილით თვალი ვნებული,
გულით შეჰხარი დიდ სამშობლოს, მომავლის იმედს.

პოეზიის მზით ჩვენი ქვეყნის ტატნობი ბრწყინავს,
მისი ნათელი არ გიმუხთლებს და არ გაგწირავს,
შენი სიცოცხლის ჯავარი და ფიქრთა მფლობელი.

სულში გიღვივებს სასოებას შუქის კანდელი,
გზნებით გამღერებს მიწის ცეცხლი, ცის ყრუანტელი,
წინ მიგაქროლებს შთაგონება ჩაუქრობელი!

## სოლომონ თავაძე

# მეგობარ პოეტს

მახსოვს, გაიხსნა თითქო საკანი
და თან შემოჰყვა შენს წიგნს არწივი.
გვიმღერე ჰანგი, ცამდის ამყვანი,
მოგვაჯადოვე მზიურ კაცივით.
ააელვარე სიმები ქნარზე,
ვით დილის სხივის მწვერვალზე კრთომა,
და აიტაცე მღელვარე გრძნობა
მზის ყვავილებით მოფენილ ცაზე.
მრავალი წელი გავიდა შემდეგ,
შორი ნაპირის შეაღე კარი,
მგზნებარე გულის სიმართლით სჭედე
შენი წიგნების ყოველი ბწკარი.
და როცა შავი გამოჩნდა ჩრდილი,
გარს შემოადგა სამშობლოს მტერი,
შენს სიმღერაში აენთო სიმი
მზეში წრთობილი ფოლადის ჟღერით.
დღეს, გამარჯვების ხმამ რომ დაჰფარა
სივრცე, სადაც კი სიცოცხლე ღვივის,
შევერცხლილია შენი ჭაღარა
ამომავალი რიჟრაჟის სხივით.





# საბჭოთა ეპოქის პოეტი

მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის ისტორიაში ალექსანდრე აბაშელმა ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა. საინტერესო და უაღრესად ვრცელია მისი შემოქმედებითი წარსული. აბაშელი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა იმ დროს, როცა ჯერ ისევ ცოცხლობდნენ და აქტიურ შემოქმედებითი მუშაობას ეწეოდნენ აკაკი წერეთელი და ვაჟა-ფშაველა,—ეს ბუმბერაზული წარმომადგენლები ქართული კლასიკური ლირიული პოეზიისა. ბუნებრივია, რომ მათი დიდი ლიტერატურული ტრადიციები კვლავ ტონს აძლევდნენ ქართული მხატვრული აზროვნების ვითარებას. ქართული პოეზიის ახალი თაობის სულიერი ფორმირება, იმ თაობის იდეურ-მხატვრული ჩამოყალიბება, რომელსაც ალექსანდრე აბაშელი ეკუთვნოდა, ცხადია, ზემოხსენებული დიდი ლირიკოსების მძლავრი ზეგავლენით ხდებოდა. ეს უკანასკნელნი ხომ ცოცხალი და სრულყოფილი განსახიერებანი იყვნენ ქართული მწერლობის ყველა უკეთილშობილესი ტრადიციისა.

ამ ტრადიციებისადმი ერთგულება გამოსთქვა ალ. აბაშელმა თავის საპროგრამო ლექსებში, რომლებიც მიძღვნილი იყო ნიკოლოზ ბარათაშვილის, ვაჟ. ორბელიანის და აკაკი წერეთლისადმი. ხსენებული ლექსები 1912-15 წლების მანძილზე დაიწერა. ვახ. ორბელიანისადმი მიძღვნილ ლექსში — „იმედში“ პოეტმა ნათლად და მკაფიოდ გამოსთქვა ის ნატვრა სოციალური და ნაციონალური თავისუფლებისა, რომლითაც გამსჭვალული იყო XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა. ჭმუნვა-ქვითინისაკენ როდი მოუწოდებდა პოეტი თავის ხალხს, არამედ ბრძოლისაკენ ეძახდა, ბორკილთა მსხვრევისაკენ მოუწოდებდა. შენს მარადიულ ლოცვებს ვიმეორებთ, შენს კალთაში, შენის ჩანგით გამოზრდილნი ვართო—მიმართავდა ლექსით პოეტი აკაკის. და ახლა, როცა ჩვენ ვათვალიერებთ პოეტის „მზის სიცილსა“ და „ანთებულ ხეივანს“ ვრწმუნდებით, რომ ეს არ იყო მხოლოდ ლამაზი ფრაზა, ეს არ იყო შიშველი დეკლარაცია.

ალ. აბაშელის იმ წლების ლირიულ ლექსებში მთელი ძლიერებით სჩქეფდა სიყვარული სამშობლოსადმი. მზე მისთვის სიცოცხლის, თავისუფლების, ქვეყნის სიხარულის სიმბოლო იყო. ბნელი რეაქციის წლებში პოეტი არ გაჰყოლია იმ სასოწარკვეთილებას, იმ ულრმეს პესიმიზმს, რომელიც ინტელიგენციის ერთ ნაწილში პირველი რევოლუციის დამარცხებამ გამოიწვია. „მზის სიცილი“ აღსავსეა კვლავ განახლების მოლოდინით, უსაზღვრო იმედით იმის გამო, რომ სხივოსანი მნათობი კვლავ მოჰფენდა სამყაროს თავის მცხუნვარე სხივებს და ქვეყანას მხსნელად მოევლინებოდა. „მზის სიცილის“ უაღრესად ვრცელი და საინტერესო ციკლი არ იყო გაქცევა ცხოვრებისაგან, ეს იყო უჭკნობი პოეტური ჰიმნი სიცოცხლისადმი; და პოეტის სევდა და სულიერი ტკივილი წარმოშობილი იყო იმ საფუძველზე, რომ ამ სიცოცხლეს ბნელი რეაქციის ჩრდილივით ეფარა.

„მზის სიცილი“ და „ანთებული ხეივანი“ მძაფრი მოქალაქეობრივი, [illegible]ნავე პოეზიის ღირსშესანიშნავი მხატვრული დოკუმენტებია. ეს წიგნები ამავე დროს საინტერესონი არიან იმითაც, რომ აქ მოცემული იყო ნაყოფიერი ცდა ქართული ლექსის განახლებისა; ქართული ლირიკის ამ მხატვრული ზრდის პროცესში ალექსანდრე აბაშელმა თავის თაობის პოეტებთან ერთად ფრიად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

ნათელი რეალიზმის, ჯანსაღი სოციალური ოპტიმიზმის საწყისებმა, — რომელიც ადრევე მკაფიოდ გამოვლენილი იყო აბაშელის პოეზიაში—თავისი სრული გაფურჩქვნა, მძლავრი შემოქმედებითი აყვავება ჰპოვეს ჩვენს დროს. პოეტის ნათელმა ფანტაზიამ უფრო ლაღად გაშალა ფრთა მას შემდეგ, როცა ჩვენს სამშობლოს თავისუფლების დიადი გაზაფხული დაუდგა. სოციალისტური სამშობლოს ბრწყინვალე წარმატებებმა, საბჭოთა ხალხის დიადმა ცხოვრებამ, ჩვენი ქვეყნის გმირულმა აწმყომ განუზომელად გააფართოვა პოეტის ჰორიზონტი, მისცა მას ახალი თემა, ახალი ძალა შეჰმატა მის კალამს. აბაშელის „მზე და სამშობლო“ ამ აზრის ნათელი ილუსტრაციაა. ამ წიგნის ყოველ ლექსში — წარსულის თემაზე იქნება ის დაწერილი თუ აწმყოს შესახებ—მთელი ძალით სჩქეფს საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთება. მთელი გატაცებით, ულრმესი სიყვარულით შეჰხარის პოეტი ახალ საქართველოს, მის აყვავებულ ბაღნარებს, მის ახალ ადამიანებს, რომელთათვის არ არსებობს დაუძლეველი და გადაულახველი დაბრკოლება. აღტაცებით უმღერის პოეტი ხალხთა ბრძენი ბელადის დიდი **სტალინის** გენიას. ბელადი და სამშობლო, მისთვის განუყრელი ცნებებია. ის კვლავ ხშირად უბრუნდება ძველი ქართული პოეზიის თემებს და მათ ასახვაში აქსოვს იმ დიდ სიხარულს, რომელიც ჩვენს ქვეყანას სტალინურმა ეპოქამ მოუტანა. პოეტისათვის ამ მხრივ უაღრესად დამახასიათებელია „სტალინის მთა“, რომელიც მთაწმინდას ეხება.

განვლილი წლების განმავლობაში პოეტის ლექსები აღვივებდნენ და ზრდიდნენ რა მკითხველის შეგნებაში სამშობლოს სიყვარულის, ნაციონალური სიამაყის გრძნობას—ამავე დროს ემოციური ზემოქმედების ძალით აძლიერებდნენ ვერაგი მტრისადმი ჩაუქრობელ სიძულვილს. ალექსანდრე აბაშელი უნაზესი ხმის ლირიკოსია და ამავე დროს მძაფრი პოლიტიკური პოეტიც არის. ჯერ ისევ მიმდინარე ომის დაწყებამდე ალ. აბაშელმა დას-

(დასასრული იხ. მე-4 გვ.)

## ლეო ქიაჩელი

# ახალი ქართული პოეზიის დღესასწაული

ალექსანდრე აბაშელის იუბილე ახალი ქართული პოეზიის ნამდვილ დღესასწაულადაც უნდა ჩაითვალოს: ალექსანდრე აბაშელის ოცდახუთმეტი წლის შემოქმედების ბრწყინვალე გამარჯვება თანამედროვე ჩვენი პოეზიის გამარჯვების დამადასტურებელიც არის.

ალექსანდრე აბაშელის პოეტური სახელი ორგანიულად არის დაკავშირებული ქართველი ხალხის ცხოვრების უკანასკნელი ოცდახუთმეტი წლის უმძაფრესი სოციალური ძვრების შემცველ პერიოდთან. ამ სახელის აკვანი დარწეულია ცხრაასხუთის ქარტეხილით, რომელსაც ეკუთვნის თანამედროვე საქართველოს ისტორიის პირველი გვერდის გადაშლა. ეს უდიდესი მნიშვნელობის ფაქტია ა. აბაშელის პოეტური ბიოგრაფიისა. ის გარემოება, რომ აქედან დაწყებული ა. აბაშელის პოეტური ზრდა და განვითარება მიმდინარეობდა ჩვენი უახლოესი ისტორიის რევოლუციურ პერიოდში და პოეტი მოზიარე იყო თვალშეუსწრებ სოციალური აღმავლობისა, რომელსაც დღეს დიდი **სტალინის** გენიით გაბრწყინვებული ეპოქა აგვირგვინებს, — განსაზღვრავს ა. აბაშელის შემოქმედების ძირითად საფუძველს.

ალექსანდრე აბაშელის პირველი წიგნი „მზის სიცილის“ სახელწოდებით გამოვიდა. „მზის სიცილი“ არ იყო შემთხვევით დარქმეული სახელი, ლამაზი სიტყვისათვის თუ ორიგინალობისათვის გამოგონილი. სანამ იგი წიგნის ყდაზე დაიწერებოდა, ადრევე პოეტის თვალით რეალურად იყო დანახული, ხოლო ცაზე კი არა,—ხალხის გულში. ეს იყო ცხრაასხუთში ჩასახული ეროვნულ-სოციალური თავისუფლების იმედი და მოახლოვებული გამარჯვებით გამოწვეული სახალხო სიხარული, რომლებიც მზის სიცილად წარმოესახენ ამავე იმედით მოხიბლულსა და ამავე სიხარულით აღტაცებულს, რევოლუციური მოძრაობის მონაწილე მომავალ პოეტს.

ამ ძვირფას სიყრმის წიგნში უკვე მოხაზულია ის საფუძვლები, რომლებზედაც შემდეგში ა. აბაშელის პოეზია ბრწყინვალედ გაიშალა. ამ საფუძვლებს შორის ორი მთავარი დღეს აუცილებლად ხაზგასმით უნდა აღინიშნოს:

ერთია—სოციალური ოპტიმიზმი, ა. აბაშელის პოეტური განწყობის და მსოფლშეგრძნობის ძირითადი სამკაული, რაც განსაკუთრებულად გვხიბლავს ბოლო ხანის მის შემოქმედებაში.

მეორე — მისი პოეზიის ფორმის ბრწყინვალებაა, სტრიქონის უნაკლო აღნაგობასა, უცდომელ მუსიკალურ ჟღერასა და სახეებისა და აზრის მზიურ სინათლეზე დამყარებული.

სახელი და დიდება პოეტს, რომელსაც ოცდახუთმეტი წლის უწყვეტ შემოქმედებაში არცერთხელ არ უღალატნია ნამდვილი პოეზიის დიად პრინციპებისათვის და თავისი მზიური პოეზიის აღმაფრენი ნაკადები ხალხის გულისთვის არ მოუკლია.

## ერ. ასტვაცატუროვი

# პოეტი-მოქალაქე

ალექსანდრე აბაშელი ეკუთვნის იმ სახელოვან პოეტთა პლეადას, რომელმაც ღრმა კვალი დააჩნია და მტკიცე საწყისები შეუქმნა მეოცე საუკუნის პოეტური მეტყველების განახლებას. მკაფიო შემოქმედებითი ინდივიდუალობის მქონე პოეტმა უაღრესად თავისებური გზა გაიარა. იგი გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, როგორც პოეტი-მოქალაქე, რომელიც ცდილობდა სევდითა და სასოწარკვეთით დასნეულებულ იმდროინდელ პოეზიაში სიცოცხლის ხმები შეეტანა.

თავიდანვე ღრმა საზოგადოებრივ მისწრაფებით გამსჭვალული პოეტის ნაზსა და მღელვარე ხმაში ყოველთვის გაისმოდა ოპტიმიზმის შინაგანი გამოძახილი. იგი წარმოადგენდა პოეტის შემოქმედების რევოლუციამდელი პერიოდის იმ რაციონალურ მარცვალს, რომელიც ჩვენს დიად ეპოქაში მგზნებარე ძალად იქცა.

სამართლიანად მიმართავს პოეტი თავის კალამს:

„ჩემო კალამო, ყოველ გარიჟრაჟს
შენ შეჰხაროდი დილის ჩიტივით.
უმღერდი მიწას, ელვას, ქარიშხალს
და მოვლილი გაქვს ზეცა შვიდივე“.

ეს არის აბაშელის შემოქმედებითი გზის პოეტური შეცნობა...

პოეტის შემოქმედებაში თავისებურად აირეკლა 1905 წლის შემდგომი შფოთიანი ეპოქა. ამ პერიოდში სიცოცხლის მომღერალი პოეტისათვის არ შეიძლებოდა უცხო ყოფილიყო სევდა, მაგრამ ეს სევდაც თავისებური იყო, იგი არა ჰგავდა იმ პოეტების, სევდას, რომლებიც დაუსრულებელ მწუხარებას ეძლეოდნენ და სასოწარკვეთილებაში ვარდებოდნენ. ალ. აბაშელს შეეძლო სევდიან „ბურუსში“ სიცოცხლის გარდუვალობის შეგრძნობის ელემენტებიც ჩაექსოვა და მომავალი განახლების შორეული ასოციაციები გამოეწვია. მისი პოეზია უაღრესად ადამიანური იყო და მასში ადამიანური ტანჯვა ბუნებრივად ჟღერდა. პოეტის ეს ტანჯვა წარმოადგენდა არა პესიმიზმის სათავეს, არამედ დაუშრეტელ წყაროს სიახლის დაუცხრომელი ძიებისას. პოეტმა ძიების ვრცელი გზა გაიარა და შემოქმედებითი ევოლუციის ამ რთულ გზაზეც მას არასოდეს არ დაუკარგავს თავისი მკაფიო პოეტური თავისებურება.

ალ. აბაშელი მთელის შეგნებით და პოეტური ინტუიციით მიილტვოდა თავისუფალი სიცოცხლისაკენ და უმღეროდა მის მარადიულობას. პირველად დედამიწაზე მას ყველაფერი მარტივად ეჩვენებოდა, ცდილობდა ამ „სიმარტივეში“ ეპოვნა თავისი პოეტური ფანტაზიის სარბიელი, მაგრამ რაკი მისი ლექსის რომანტიკულმა სტიქიამ ეს ვერ შესძლო, შეუცნობ სამყაროს მიაშურა. იქ მან ყველაზე მახლობლად მზე მიიჩნია, რადგან სწორედ მზეში „დაინახა“ სიცოცხლის ის მარადიულობა, რომელსაც იგი ეტრფოდა:

„მზეს არ ახსოვს შობის წამი,
მზეს სიკვდილი არა სჯერა!
მან სიცოცხლე უკვდავების
სიმთა ჟღერით ააძგერა!
დროს წაართვა ძლევის კვერთხი
და დართგუნა მით სიკვდილი!
ნეტავ იმას, ვისაც ესმის
აღმაფრენი მზის სიცილი!“...

პოეტის კონცეპციით დედამიწაზე ყველაფერი წარმავალი იყო, მზე კი უკვდავი. დედამიწიდან ყველაფერი მზისაკენ მიილტვოდა, თვით დედამიწაც მზეს შეჰხაროდა „ტრფობის ალით ანძგერი“:

„მზე სატრფოა დედამიწის:
მიწამ სული მზეში ჰპოვა,
უსრულებელ ნდომის შუქით
მის მწველ სხივებს ჩაექსოვა“.

ამგვარად, როცა ამ ქვეყნიურმა ყოფამ ვერ დააკმაყოფილა პოეტი, მან მზეზე გადაიტანა თავისი ფანტაზიის ნავთსაყუდელი, რათა იქიდან მარადიული სიცოცხლის თვალით დაეხედა დედამიწაზე გამეფებულ სოციალურ და პოლიტიკურ უკუღმართობისთვის, მზე პოეტს თავისი უსაზღვრობითა და ამოუცნობლობითაც იზიდავდა. მაგრამ ამ ლამაზი ილუზიით პოეტი არ შეიძლებოდა დიდხანს ყოფილიყო გატაცებული. იგი ღრმად დარწმუნდა, რომ პოეზიის მარადიული თემა მზის უკვდავებაში კი არ უნდა ეძია, არამედ ამქვეყნიურ ცხოვრებაში, დედამიწისა და ადამიანის წუხილსა და სიხარულთან მუდმივ ურთიერთობაში. ამიერიდან მზე აბაშელის პოეზიაში სილამაზის აქსესუარი შეიქნა და „არსებობის ბედის წერის“ ახსნა მან ამქვეყნიური ცხოვრებაში დაიწყო:

„თუ გაშფოთებს მიწის აწმყო,
მომავალიც აღარ გჯერა,
და გსურს გამცნონ ვარსკვლავებმა
არსებობის ბედის-წერა?!
ცა მუნჯია და უგრძნობი,
არას გეტყვის, ნუ-რას ჰკითხავ...
მიწის სევდას გაეცანი —
ვარსკვლავებსაც წაიკითხავ!..“

პოეტში გაიმარჯვა რეალისტურმა სტილმა, რამაც ნამდვილ სრულყოფას ჩვენს ეპოქაში მიაღწია.

ა. აბაშელის პოეზიაში დღეს უჩვეულო მომხიბვლელობითა და სიმკვეთრით ჟღერს დიდი მოქალაქეობრივი მოტივები. მისი ლექსები გამოირჩევიან პოეტური გულწრფელობითა და განცდათა უშუალობით. არასოდეს არა ყოფილა მისი პოეზია ისე მდიდარი ხალხური მოტივებითა და მხატვრული სისადავით, როგორიც არის დღეს. თანამედროვე ცხოვრება და ჩვენი ხალხის ყოფითი თავისებურება აბაშელის პოეზიაში ორგანიულ ასახვას პოულობს.

განახლებული სამშობლოს სიყვარულის გრძნობამ პოეტის გულში მკვიდრი ადგილი დაიჭირა.

სამშობლოს მუდმივი გაზაფხულის შეგრძნობამ აბაშელის ლექსების რიტმს მხიარული და ხალისიანი ტონი მისცა. მის პოეზიაში უდიდესი ადგილი დაიჭირა საზეიმო განცდამ და ოპტიმისტურმა განწყობილებამ. იგი კვლავ ხშირად მიმართავს ბუნების მოვლენებს, მაგრამ ახლა ბუნების ეს მოვლენები აბაშელის პოეზიაში რეალურ შთაბეჭდილებათა გაძლიერებას ემსახურებიან. პოეტი სამშობლოს განახლებას ბუნების გაზაფხულს ადარებს. ამ შედარებით ბრწყინვალედ აღწევს მიზანს და დამაჯერებლად გადმოგვცემს თანამედროვე ადამიანის შინაგან განწყობილებას:

„როგორ უხდება ყამირს გადახნულს,
ჯეჯილს რომ თვალი აეხილება,
როგორ უხდება მზიან გაზაფხულს
ატმის და ნუშის აყვავილება!
მზე საზეიმოდ ამომავალი
ჩქარობს ფოთლებზე სხივის დანთებას,
როცა ყვავილთა ფერად ამალით
ტყეში მაისი შემობრძანდება“.

წარსულში, როცა საქართველოს ლამაზ ბუნებასა და ხალხის მძიმე ცხოვრებას შორის კონტრასტი იყო, პოეტი პეიზაჟს მიმართავდა იმისათვის, რომ მასში ორგანულად ჩაექსოვა თავისი სევდა, წუხილი, „ზეცის გამოდარების მოლოდინი“. ახლა ბუნების სიმშვენიერე უშუალოდ ეხმაურება მისი ხალხის თავისუფალი ცხოვრებით გამოწვეულ სიხარულს და მას თავისუფლად შეუძლია ბუნების სიხარული ხალხის სიხარულს უშუალოდ შეადაროს, ბუნების გაზაფხულისა და ზაფხულის წარმტაც მხატვრულ სურათებში ჩვენი ცხოვრების ბედნიერება განგვაცდევინოს.

ალ. აბაშელი სრულის ხმით უმღერს სამშობლოს სიყვარულს. ამ დიდი ადამიანური გრძნობის გამძაფრებისათვის იგი ხშირად წარსულს მიმართავს.

„შენი ხომალდის თეთრი აფრები
საუკუნეთა გლიჯეს ქარებმა,
გრიგალს ებრძოდი გულგამძაფრებით,
ელოდი ზეცის გამოდარებას.
გქონდა სიმაგრე მკლავის და მუხლის,
ბევრი ტრამალი გადაგითელავს,
მტერს ახვედრებდი ვაჟკაცურ ქუხილს
და ქარქაშიდან ამოსულ ელვას“.

წარსულის ამ ფონზე პოეტი რელიეფურად გადმოგვცემს ჩვენი ეპოქის სიდიადეს:

„სხვაგვარად მღერის ფოთლებში ქარი,
როცა უბერავს ყანას და ვენახს,
სხვაგვარად ბრწყინავს ბალახზე ცვარი,
სხვანაირია დღეს ჩვენი ლხენაც“.

პოეტი მიმართავს სამშობლოს:

„შენი მინდვრების ელავს ხავერდი,
მას ციდან ოქროს სხივები აწვიმს,
ლურჯმა ჰაერმა გადუხსნა მკერდი
შენი ბუდიდან აფრენილ არწივს.
ის შენს ცა-ფირუზს უვლის გარშემო,
როგორც მნათობი გაუქრობელი,
მან ააყვავა, სამშობლოვ ჩემო,
შენი ქალაქი, შენი სოფელი“.

პოეტი ამ სტრიქონებში ადიდებს სამშობლოს „ბუდიდან აფრენილ არწივს“, რომელმაც ქვეყანას სიხარული და ბედნიერება მოუტანა. ეს მშობლიური სახელი დიდი ბელადისა ყველასათვის მახლობელია, და პოეტიც მას სათუთად და განსაკუთრებული სიყვარულით ხატავს. პოეტის პატრიოტულ სტრიქონებში ჩაქსოვილ სიყვარულს დიდი ბელადისადმი მკითხველი თავის უშუალო განცდებს უერთებს:

„ეს სახელი შუქია,
მარად გაუქრობელი.
ის ჩვენ ფიქრებს თანა სდევს,
ის ჩვენ გვათბობს, გვანათებს.
მზეა თუ ქარბუქია,
ჩვენ მისი ვართ მხმობელი.
მთელ ქვეყანას უქია
ამ სახელის მფლობელი“.

დიდმა **სტალინმა** აღორძინა ჩვენი სამშობლო. სტალინმა აღადგინა, რაც საუკეთესო იყო ჩვენი ხალხის წარსულში, დიდებით შემოსა და ახალი განათება მისცა მას. სტალინმა ორგანიულად დააკავშირა დღევანდელობასთან წარსულის საუკეთესო ტრადიციები და ამით უფრო მდიდარი და საინტერესო გახადა ჩვენი დრო. საბჭოთა პოეტიც თავის ლექსებში ჰქმნის წარსულის მღელვარე ფონს, რათა ზედ პოეტური ოსტატობით ამოქარგოს აწმყოს მიმზიდველი სურათი:

„როგორ აენთო ახალ მშვენებით,
როგორ განათდა, როგორ გაბრწყინდა?
თითქო ზღაპრულის სდგას მოჩვენებით
გულდახურული ძველი მთაწმინდა.
აქ გროვდებოდა შუქი ქართული,
რაც იყო მთათ თუ ბარად გაშლილი.
ჩირაღდნად იყო აქ ამართული
დიდი ოცნება ბარათაშვილის“.

ახლა სხვა სილამაზე გვხიბლავს ამ მთისა:

„მთაო მაღალო! მიწაზე დგახარ,
თუ ჰაერში ხარ აყვავებული?
ახლა თბილისის მარჯვენა ფრთა ხარ,
წამოსაფრენად გამზადებული.

. . . . . . . . . .

მზე დაგფენია ციდან ახალი,
ახალ სხივების გწვავს ყრუანტელი.
ხარ თვით მყინვარზე უფრო მაღალი
და იალბუზზე უფრო ნათელი“.

(„სტალინის მთა“).

ჯანსაღმა მსოფლმხედველობამ გააფართოვა პოეტის მხატვრული ხილვა და უფრო ღრმა გახადა მისი პოეტური დაფიქრება. მისი ლექსები ახლა სადაა და მიმზიდველი არა მხოლოდ სტრიქონების გამჭვირვალობით, არამედ აზრის სისადავითა და სიღრმითაც.

საბჭოთა პერიოდში მომწიფდა პოეტში მგზნებარე პატრიოტიზმი, რადგან სამშობლოს სიყვარული მისი გონების, გრძნობისა და განცდის ორგანულ ნაწილად იქცა. იმის ღრმა შეგნებამ, რომ მას აქვს თავისუფალი სამშობლო, რომელსაც შეუძლია მთელის ხმით უმღეროს, პოეტის ხმას ჰეროიკული სული შესძინა. თუ შემოქმედების ადრინდელ პერიოდში ალ. აბაშელისათვის მზე ყველაფერი იყო და მისი სახის სრული პოეტური ათვისებისათვის არაფერს ზოგავდა, ახლა ასეთ მზედ მისთვის თავისუფალი სამშობლო იქცა. როცა სამშობლოს თავისუფლებას ვერაგი დამპყრობელი დაემუქრა, პოეტის ხმა მრისხანე და სასტიკი შურისძიების სულისკვეთებით აჟღერდა. მტრისადმი შურისძიების ცეცხლით გულანთებული პოეტი სამამულო ომის მრისხანე დღეებში სამშობლოს დაცვის იდეით აღგზნებულ სტრიქონებს ჰქმნის და თავის ხალხს სამშობლოს დაცვისათვის ვაჟკაცური ბრძოლისაკენ მოუხმობს. ომის პირველ დღიდანვე ალ. აბაშელის პოეტური ხმა განუწყვეტლივ ისმის, როგორც მტრის წინააღმდეგ შემართული სამშობლოს ხმამაღალი სიმღერა. დღესაც გამამხნევებლად გაისმის პოეტის სიტყვები:

„ცამ დაიქუხა გუშინ,
მეხიც გავარდა ბევრი,
დილა გათენდა ქუში
და ფეხზე დადგა ერი.
ცამ დაიქუხა გუშინ, —
კარს მოგვადგაო მტერი!

. . . . . . . .

განა იმისთვის მოვსპეთ
შავი ჯალათი ძველი,
განა იმისთვის ვმოსეთ
სინათლით მიწა ვრცელი,
რომ განთიადის მომსწრეთ
კვლავ დაგვფენოდა ბნელი?!“.

პოეტს თავიდანვე სწამდა, რომ ჩვენს „სამშობლოს იცავდა ძლევამოსილი ხმალი“ და „ჩვენს აყვავებულ მიწას ვერვინ წაგვართმევდა ძალით“. როცა გამხეცებული მტერი მსხვერპლს არ ერიდებოდა და გაათრებით მოიწევდა წინ, პოეტი მოუწოდებდა ქართველ ვაჟკაცს: გმირულად დაეკრა საზიზღარი მტრისათვის, არ მოეშვა ის სამშობლოს კარებთან. იგი მოუხმობდა ქართველ გმირს დაეცვა რუსთაველის სიმღერა და მარად მიმზიდველი კერა დიდი ბელადისა, სადაც დაირწა ხალხთა ბედნიერების აკვანი:

„შენი მიწის ორთქლი და
კერის კვამლი აქა დგას,
შენი შვილის აკვანი,
შენი ფუძე აქ არი.
მტერი მოდის, კისერზე
რომ უღელი დაგადგას,
ვაჟკაცურად დაუხვდი,
არ მოუშვა, დაჰკარი!“.

ომის ისტორიულ დღეებში პოეტი-მოქალაქე თავის ხალხთან იყო და აქტიურ მონაწილეობას იღებდა მტერზე გამარჯვების მოპოვებაში. მძაფრი განსაცდელის ჟამს აბაშელი მხნეობითა და გამარჯვების გარდუვალობის შეგნებით აღაგზნებდა თავის მკითხველს. იგი წრფელი გულითა და ვაჟკაცური ხმით უმღერდა და უმღერის ფრონტისა და ზურგის მამაც მეომრებს, სამშობლოს სიყვარულსა და ხალხთა დიად სტალინურ მეგობრობას, — ჩვენი გამარჯვების ურყევ საფუძველს.

(„ლიტ. და ხელოვნ.“ მე-3 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა ეპოქის პოეტი

(დასასრული)

წერა ვრცელი ლექსი „გერმანიაში“, რომელიც მებრძოლი პოლიტიკური პოეზიის ბრწყინვალე ნიმუშად უნდა ჩაითვალოს. ამ ლექსის ყოველი სტრიქონი აღსავსეა უძლიერესი სიძულვილით და ზიზღით მეოცე საუკუნის ბარბაროსებისადმი, ჰიტლერული ბნელეთის მოციქულებისადმი.

როცა ჰიტლერული გერმანიის შეიარაღებული ურდოები თავს დაესხნენ ჩვენს სამშობლოს, როცა საბჭოთა ხალხი დიდი სტალინის მეთაურობით ერთსულოვნად აღსდგა შემოსეული მტრის შესამუსრავად—აბაშელის ლექსის პოლიტიკური ფხიანობა, საბრძოლო სიმახვილე კიდევ უფრო გაძლიერდა. „კალამო! მხოლოდ შემუსვრა მტერთა!— გადაივიწყე სხვა ყველაფერი“.—მიმართავდა პოეტი თავის კალამს ომის პირველსავე დღეებში. თავისი მგზნებარე მხატვრული სიტყვით პოეტი აღაგზნებდა ფრონტზე მიმავალ ქართველ მეომრებს, მოუთხრობდა წინაპართა გმირულ ტრადიციებზე, უმღეროდა ლენინის ქალაქის გმირულ დამცველებს, ბალტიკის სახელოვან მეზღვაურებს, სტალინგრადის ლეგენდარულ გმირებს, შთაგონებულად უმღეროდა და უმღერის დიდი ბელადის სახელს, იმ ადამიანის გენიას, რომლის ბრძნული ხელმძღვანელობით ჩვენმა ქვეყანამ მოიპოვა ბრწყინვალე გამარჯვება კაცობრიობის დაუძინებელი მტრის, ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩვენ არასოდეს არ დაგვავიწყდება აბაშელის ლექსი „არ მოუშვა, დაჰკარი“, იგი დაიწერა მაშინ, როცა გაცოფებული მტერი კავკასიის მთისძირებს აწყდებოდა, ამ ლექსში ყოველი სიტყვა ტყვიასავით სჭრიდა, ხიშტივით ჰკვეთავდა. ამ ლექსში პოეტი მთელი ხალხის უგულითადეს მისწრაფებას გამოხატავდა.

ალექსანდრე აბაშელს სამოცი წელი შეუსრულდა, ის კვლავ გატაცებით იღწვის ქართული საბჭოთა პოეზიის ასპარეზზე. ჩვენ ვუსურვებთ შესანიშნავ პოეტს, ჩვენს სამაგალითო თანამოკალმეს კვლავ ამდიდრებდეს ქართულ საბჭოთა პოეზიის საგანძურს ახალ-ახალი ნაწარმოებებით, კვლავაც დიდხანს ისმოდეს მისი მკვეთრი ხმა ქართულ პოეზიაში, როგორც ისმოდა ის განვლილი ოცდახუთმეტი წლის მანძილზე.

ი. აბაშიძე, გრ. აბაშიძე, ლ. ასათიანი, შ. აფხაიძე, ა. ბარამიძე, კ. ბობოხიძე, ა. ბელიაშვილი, დ. ბენაშვილი, დ. გაჩეჩილაძე, ვ. გაბესკირია, რ. გვეტაძე, ა. გაწერელია, ი. გრიშაშვილი, ვ. გორგაძე, ვ. დარასელი, ს. ეული, ი. ვაკელი, ი. ზურაბიშვილი, ს. თავაძე, პ. ინგოროყვა, კ. კეკელიძე, პ. კაკაბაძე, ს. კლდიაშვილი, გ. ლეონიძე, ა. ლომიძე, ი. ლისაშვილი, ა. მაშაშვილი, ი. მოსაშვილი, ნ. მიქავა, კ. ნადირაძე, გ. ნატროშვილი, შ. ნუცუბიძე, შ. რადიანი, ბ. ჟღენტი, დ. სულიაშვილი, გ. ტაბიძე, გ. ქიქოძე, ა. ქუთათელი, გ. ქუჩიშვილი, რ. ქორქია, ი. ქავჟარაძე, ს. შანშიაშვილი, დ. შენგელაია, ს. ჩიქოვანი, ნ. ჩაჩავა, ბ. ჩხეიძე, ვ. წულუკიძე, ა. ჭეიშვილი, კ. ჭიჭინაძე, გ. ჯიბლაძე.

## „მნათობის“ ახალი ნომრები

გამოვიდა ჟურნალ „მნათობის“ ახალი (№ 4-5) ნომერი. მხატვრული ლიტერატურის განყოფილებაში მოთავსებულია ლექსები: ალექსანდრე აბაშელის „ეგნატე ნინოშვილის ხსოვნას“, მირზა გელოვანის „ომის ლირიკა“, გიორგი კაჭახიძის „სამშობლოს ნათელი,“ „იმ საყვარელ წიგნზე მეტი“, გიორგი შატბერაშვილის „თამარის დაკარგვა ვარდის ქალაქში“, ბონდო კეშელავას „შვილობილი“, მოთხრობები—ნიკო ლორთქიფანიძის „ქედუხრელნი“, ნ. ტიხონოვის „მძულვარება“, ლევან გოთუას „ყინწვისის ანგელოსი“, სოლომონ თავაძის რომანი „კავკასიონის კარებთან“, (დასასრული), უ. ჩხეიძისა პიესა „გიორგი სააკაძე“ და როდიონ ქორქიას ისტორიული ნარკვევი „შავი ლაქა“. კრიტიკის განყოფილება შეიცავს ლ. კალანდაძის სტატიას „სიმონ ჩიქოვანის პოეზია“ და გ. ჯიბლაძის კრიტიკულ ნარკვევს „შალვა დადიანი“. ქართულ ლიტერატურის ისტორიიდან ჟურნალში მოთავსებულია გერონტი ქიქოძის „ეგნატე ნინოშვილი“, შალვა რადიანის—„ვასილ ბარნოვის ისტორიული რომანები“. (გაგრძელება) და ვლ. ნორაკიძის „ადამიანობის იდეის დახასიათებისათვის ვეფხვის ტყაოსანში“. „მნათობის“ ახალ ნომერში მოთავსებულია აგრეთვე შოთა ძიძიგურის სტატია „მოსე ჯანაშვილი როგორც ქართული ენის მკლევარი“ და ბიბლიოგრაფიული წერილები: მიმომხილველისა—შალვა დადიანის „საქართველოს“-ზე, დ. შამათავას — გ. ნატროშვილის „დავით გურამიშვილზე“ და პ. ბერიძის—არისტოტელეს „პოეტიკის“ ქართულ თარგმანზე. ნომერი 236 გვ. შეიცავს.

* * *

დაიბეჭდა და მალე დაურიგდება ხელის მომწერლებს ჟურნალ „მნათობი“-ს მე-6 ნომერი. ჟურნალში მოთავსებულია შემდეგი მასალა—**მხატვრული ლიტერატურა:** ნიკო ლორთქიფანიძე—„ქედუხრელნი“ (მოთხრობა); ალიო მაშაშვილი „გრიგალი“ (ლექსი); გრიგოლ აბაშიძე—წიგნიდან „დროშები“ (ლექსები); ალექსეი ტოლსტოი—„რუსული ხასიათი“ (მოთხრობა, თარგმანი არ. ჭუმბაძისა); სერგო კლდიაშვილი—„ფანტასმაგორი“ (მოთხრობა); კოლაუ ნადირაძე—„ზღვის პირას“, „ჩემი ვარსკვლავი“ „ამირ-სპასალარი“ (ლექსები); ამბროზ ბირსი—„კაპიტანი კელტერი“ (მოთხრობა, თარგმანი შ. ალხაზიშვილისა); ნიკოლოზ ჩაჩავა — „ნახვამდე გითხარ“ (ლექსი); უშანგი ჩხეიძე „გიორგი სააკაძე“ (პიესა); ჰანს გაბე—„ათასნი დაეცემიან“ (მოთხრობა, თარგმანი ი. აგლაძისა); **კრიტიკა და ბიბლიოგრაფია:** ს. შანშიაშვილი—შენიშვნები კ. გამსახურდიას რომანის „დიდოსტატ კონსტანტინეს მარჯვენა“-ს გამო (წერილი); ვ. წულუკიძე—„მ. გორკი და სამშობლო“ (წერილი); აკ. ფაღავა—„ა. ჩეხოვი და მოსკოვის სამხატვრო თეატრი“ (წერილი); ბიბლიოგრაფიის განყოფილებაში წარმოდგენილია ი. გრიშაშვილის, გ. აბაშიძის, ს. მაკალათიას, ე. ასტვაცატუროვის და ხ. ახვლედიანის წიგნების განხილვა.

## ახალი ოპერა „ომი და მშვიდობა“

ცნობილმა კომპოზიტორმა ს. პროკოფიევმა დაამთავრა ახალი ოპერა „ომი და მშვიდობა“, რომლის ლიბრეტო დაწერილია ლევ ტოლსტოის რომანის მიხედვით. 16 ოქტომბერს ეს ოპერა შეასრულა სრულიად რუსეთის თეატრალურ საზოგადოების საოპერო ანსამბლმა პ. პოპოვის ხელმძღვანელობით. მთავარ როლებში გამოვიდნენ: კ. მალკოვა (ნატაშა როსტოვა), მ. შჩეღროვი (პიერ ბეზუხოვი), ს. ილინსკი (ანდრეი ბოლკონსკი), ა. ვასილევა (ელენ), ე. კორენევი (კუტუზოვი).

## ვოლტერის დაბადების 250 წლისთავი

ნოემბერში 250 წლისთავი სრულდება ცნობილ ფრანგ მწერალ-განმანათლებლის ფრანსუა მარი-არუე ვოლტერის დაბადებიდან. საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტი ამ თარიღს მიუძღვნის მთელ რიგ სხდომებს. პირველი მოხსენება უკვე წაიკითხა პროფ. კ. დერჟავინმა შემდეგ თემაზე: „ვოლტერის ფილოსოფიური რომანები“. უახლოეს სხდომაზე მოსმენილი იქნება მოხსენება ვ. ლუბლინსკისა „ვოლტერის შესწავლის პრობლემები“, ინსტიტუტი აწყობს აგრეთვე ვოლტერის ხსოვნისადმი მიძღვნილ საიუბილეო საზეიმო სხდომას. ლენინგრადის უნივერსიტეტი სცემს ვოლტერის შემოქმედებისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კვლევით შრომების კრებულს, რომელშიაც სხვათა შორის მოთავსებული იქნება შემდეგი სტატიები: „ვოლტერი და რუსეთი“, „ვოლტერის თეატრი“, „კანდიდის“ დაწერის ისტორიისათვის“ და სხვ.

## მუსიკალური ნაწარმოები ილია ერენბურგის ტექსტზე

კომპოზიტორმა ალ. კრეინმა დასწერა მთელი ციკლი ნაწარმოებებისა ხმისა და ორკესტრისათვის ილია ერენბურგის ტექსტზე. იგივე კომპოზიტორი ამჟამად მუშაობს მეორე სიმფონიაზე დიდი ორკესტრისათვის.

## პიესა „შეხვედრა ბნელში“ სოხუმის ქართულ თეატრში

აფხაზეთის ქართული დრამის თეატრი ამჟამად ამზადებს რუსი დრამატურგის ფ. კნორეს ახალ პიესას სამამულო ომის თემაზე „შეხვედრა ბნელში“. მიმდინარე სეზონში ეს თეატრი დადგამს აგრეთვე ა. ოსტროვსკის ცნობილ პიესას „უმზითვოს“, ვ.დარასელის „კიკვიძეს“, კ. ყიფიანის „სამეგრელოს მთავარ ლევანს“, ლ. გოთუას „მეფე ერეკლეს“ და სხვა.

# ახალგაზრდა მწერლების შემოქმედება სამამულო ომის პერიოდში

12 ოქტომბერს მწერალთა სასახლეში სანდრო შანშიაშვილის თავმჯდომარეობით ჩატარდა ახალგაზრდა მწერლებისადმი მიძღვნილი საღამო, რომელსაც დაესწრო მწერალთა აქტივი და მკითხველი ახალგაზრდობა.

მოხსენებით თემაზე — „ახალგაზრდა მწერლების შემოქმედება სამამულო ომის პერიოდში“—გამოვიდა გივი გაჩეჩილაძე, შეეხო რა მწერლობის წინაშე წამოჭრილ საერთო პრობლემებს—ლიტერატურული მემკვიდრეობის ათვისების, თანამედროვეობასთან უშუალო ცოცხალი კავშირის, ფრონტისა და ზურგის გმირი ადამიანების ასახვის, პატრიოტული მოტივების გაძლიერების საკითხებს, მომხსენებელმა საკმაოდ ვრცლად დაახასიათა პოეტების ი. ნონეშვილის, ა. თევზაძის, ა. შენგელიას, რ. მარგიანის, პროზაიკოსების—ა. ლომიძის, ვ. ავალიანის და გრ. ჩიქოვანის მიერ ომის პერიოდში გამოქვეყნებული ნაწარმოებები,

ახალგაზრდა პოეტებს შორის განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობდა ი. ნონეშვილი,—სთქვა მომხსენებელმა—პატრიოტული პათოსით არიან გამსჭვალული კავკასიის დაცვისათვის გამართულ ბრძოლის დღეებში დაწერილი მისი ლექსები. ნონეშვილის შემოქმედება ქართული პოეზიის ტრადიციებს ემყარება, ეს ავტორი ხშირად მიმართავს ხალხური პოეტური მეტყველების ანალოგიურს ხატოვან თქმებსა და მეტაფორებს. ა. თევზაძის პოეზიის თემატიკა პოპულარულია, მას ემარჯვება ისეთი სიტყვის მონახვა, რომელიც ზეგავლენას ახდენს მასიურ მკითხველზე, პოეტი ა. შენგელია ნაზი ხმის ლირიკოსია, მისი მისვლა თანამედროვე ამბებთან ინტიმურია. რ. მარგიანის ლექსების დიდი ნაწილი ომის გარემოცვაშია დაწერილი, ზოგ ამ ლექსს ახასიათებს ეპიური ტონი მიუხედავათ იმისა, რომ იგი ინტიმურ თემებზეა დაწერილი.

ახალგაზრდა პროზაიკოსებიდან პროდუქტიულად მუშაობდა ვ. ავალიანი, უკანასკნელ ხანებში მან რამდენიმე მოთხრობა გამოაქვეყნა, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია „კიროვის პორტრეტი“. ა. ლომიძემ შემოიტანა ქართულ პროზაში ახალი თემა და ფონი: ზღვა, ზღვის პეიზაჟი, მეზღვაურთა ბრძოლა და ცხოვრება, ლომიძე სცდილობს დახვეწოს და ლაპიდარული გახადოს თავისი თხრობა. გრ. ჩიქოვანის პროზა ეპიურია იმ ორ მოთხრობაში, რომელიც მწერალმა ომის დროს გამოაქვეყნა და რომელიც ცხოველმყოფელი ფერებით გვიხატავს სამეგრელოს სოფლის ცხოვრებას და ადამიანებს სამამულო ომის წლებში.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, სიტყვებით გამოვიდნენ კ. ბობოხიძე, დ. შამათავა, დ. ბენაშვილი, ა. ლომიძე, ა. გაწერელია, ს. შანშიაშვილი. შეჩერდენ რა განხილული მწერლების შემოქმედების თავისებურებაზე, კამათში გამოსული ამხანაგები საჭიროდ სცნობდნენ, რომ ახალგაზრდებმა გააძლიერონ მუშაობა თავის თავზე საკუთარი სტილისა და ხმის გამოსამუშავებლად.

როგორც ამხ. სიმონ ჩიქოვანმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, საღამო სათანადოდ ვერ იყო ორგანიზებული. ორატორების დიდი ნაწილი კამათში მოუმზადებელი გამოვიდა. თვით ახალგაზრდა მწერლებმა თავიანთი კოლეგებისადმი ყოვლად გაუმართლებელი გულგრილობა და ინდიფერენტიზმი გამოიჩინეს. კამათში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა მათგანმა—ამხ. ა. ლომიძემ.

## ახალი ცნობები ერეკლე მეორეზე

ახლახან გამოსულ „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბის“ მეხუთე ტომის მეორე ნომერში დაბეჭდილია გ. ბეი-მამიკონიანის საყურადღებო სტატია: „მე-18 ს. ნახევრად დავიწყებული მემუარისტი ერეკლე მეორეზე და მის დროინდელ ქართველებზე“.

1792 წელს ლონდონში ინგლისურ ენაზე გამოსულა წიგნი „ცხოვრება და თავგადასავალი ჯოზეფ ემინისა, სომხისა, მის მიერვე აღწერილი“. ამ წიგნის მეორე გამოცემა გამოვიდა ქ. კალკუტაში 1918 წელს.

სომხური ეროვნული გამანთავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწე ჯოზეფ ემინი (1726-1809) ინდოეთში გადახვეწილი სომეხი ვაჭრის შვილი ყოფილა. სომხეთის განთავისუფლების იდეით გატაცებულ ემინს ინგლისის სამხედრო აკადემიაში მიუღია განათლება და შემდეგ ის თურმე შვიდწლიანი ომის მრავალ ბრძოლაშიაც მონაწილეობდა. თურქეთის სომხეთში ყოფნისას ჯოზეფ ემინი დარწმუნებულა,რომ „მისი პატრიოტული ზრახვების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ ქართლ-კახეთის მეფეთა მფარველობის საშუალებით, სომეხი და ქართველი ხალხების პოლიტიკურ ინტერესთა მჭიდრო დაკავშირების გზით“. ამ მიზნების განხორციელებისათვის ემინი თბილისში ჩამოსულა.

ემინის სიტყვით საქართველოში ყოფნისას იგი მუდამ თან ახლდა თურმე ერეკლეს. ერეკლესა და ემინს ხშირი საუბარი ჰქონიათ სახალხო განათლების, სამხედრო რეფორმების, ინგლისური სახელმწიფოებრივი სისტემის, სომხური ოლქების განთავისუფლებისა და პერსპექტივების შესახებ. მაგრამ ჯოზეფ ემინის პოლიტიკურ ოცნებათა და ერეკლეს რეალურ და ფხიზელ პოლიტიკის შორის აშკარა სხვაობა არსებულა. მიუხედავად ამისა ჯ. ემინი მაინც მოხიბლული დარჩენილა ერეკლე მეორის პიროვნებით.

ჯ. ემინი შემდეგნაირად ახასიათებს ერეკლეს: „ჩვეულებრივ მის მუქ პირისკანს ოდნავ გადაჰკრავდა მომწვანო ელფერი, ტანად იგი დაბალი იყო ნახევარი გოჯით ემინზე უმაღლესი,*) მაგრამ ჩასკვნილი, ძვალმაგარი და ძარღვიანი. იგი ყოველმხრივ პირველი იყო მათ (ქართველთა) შორის და ეს ყველასადმი ბრძანებლობის უფლებას აძლევდა მას. მასში არ იყო ნატამალი სიამაყისა, ქედმაღლობისა ან ზვიადური საქციელისა, რაც ესოდენ სჩვევიათ აზიელ ხელმწიფეებს და ისე მკვირცხლი იყო იგი გონებით, რომ საუბრის დაწყებისთანავე ყოველ საგანს ჩასწვდებოდა მთელი სიგრძე-სიგანით. როდესაც იგი წარმოსთქვამდა ცალკეულ სიტყვებს, საუბრობდა ან მსჯელობდა რომელიმე თემაზე, მისი ხმა ისეთი საამო და ტკბილი იყო, რომ მსმენელი თუ ვერ ხედავდა მისი კანის მომწვანო მიხაკისფერ ელფერს, იფიქრებდა რომ ეს ანგელოზი ლაღადებსო. იოტის ოდენა სიამაყე არ იყო მასში და შესაძლოა მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში მას არ დაუტრაბახნია არც ერთხელ“.

ჯ. ემინს საქართველოდან გაბრუნებისას გაუვლია ბაღდადსა და ბასრაში. მისი წიგნის ის ნაწილიც, სადაც მისი ერაყში ყოფნა არის აღწერილი, განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან ამ დროს მთელი ერაყი ქართველ მამელუკთა მფლობელობაში იყო უკვე თითქმის 25 წლის განმავლობაში. 1775 წ. ჯ. ემინი მონაწილეობს სპარსელი ჯარისაგან გარემოცულ ბასრას თავდაცვაში, როგორც ერაყის ქართველ მამელუკთა მოკავშირე. ემინის წიგნს ბევრი საყურადღებო ცნობა შემოუნახავს ქართველ მამელუკთა გამოჩენილი მოღვაწის სულეიმანის, შემდგომად „დიად სულეიმანად“ წოდებულის შესახებ.

ზემოხსენებული საყურადღებო სტატიის ავტორი სწორად შენიშნავს, რომ ჯერ კიდევ მრავალი ისეთი მასალა არსებობს, რომლის გამოკვლევამ მნიშვნელოვნად უნდა გააფართოოს საქართველოს ახალი ისტორიის წყაროები. მისასალმებელია ის ნაყოფიერი მუშაობა, რაც ამ მხრივ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტმა გაშალა.

*) ემინი თავის თავზე მესამე პირში ლაპარაკობს.



დ. მჟავია—შმაგა („უდანაშაულო დამნაშავენი“). ნახ. დ. წერეთლისა



თ. ბაქრაძე — კრუჩინინა („უდანაშაულო დამნაშავენი“). ნახ. დ. წერეთლისა



გ. დავითაშვილი—ნეზნამოვი („უდანაშაულო დამნაშავენი“). ნახ. დ. წერეთლისა.



ნ. ლაფაჩი — კარინკინა („უდანაშაულო დამნაშავენი“). ნახ. დ. წერეთლისა

# „უდანაშაულო დამნაშავენი“

### განახლებული დადგმა

### ა. ოსტროვსკის 4-მოქმ. კომედია რუსთაველის სახ. თეატრში. დადგმა სსრკ სახალხო არტისტის აკ. ვასაძის

რამდენიმე წელიწადია დიდი წარმატებით მიდის ეს სპექტაკლი. წლების განმავლობაში აღნიშნული სპექტაკლი მხატვრულად კიდევ უფრო ძლიერი გახდა. საქართველოს და აგრეთვე რუსეთის პრესამ თავის დროზე აღნიშნა მისი მაღალი ხარისხი.

სახალხო არტისტებმა გ. დავითაშვილმა (ნეზნამოვი), აკ. ვასაძემ და დ. მჟავიამ (შმაგა), სახალხო არტისტმა ნინო ჩხეიძემ და დამსახ. არტისტმა თ. ბაქრაძემ (კრუჩინინა), დამსახ. არტისტმა ნ. ლაფაჩიმ და ა. დონელმა (კორინკინა), გ. საღარაძემ (მუროვი), ნ. ს. მესხიშვილმა (დელიავინა), სახალხო არტისტებმა ნ. ჯავახიშვილმა (გალჩიხა) და ემ. აფხაიძემ (დუდუკინი), ბ. კიკნაძემ (მილოვზოროვი) — დაუვიწყარი მხატვრული სახეები შექმნეს.

ჯერ კიდევ წარსულ სეზონში სპექტაკლში შეყვანილ იქნენ ახალი ძალები, რომელთა თამაშმა მაყურებლის მოწონება დაიმსახურა. ამათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავი არიან ნოდარ ჩხეიძე და გ. ასიტაშვილი (ნეზნამოვი).

1944-45 წლ. სეზონში ა. ოსტროვსკის ამ კომედიის განახლებამ ცხოველი ინტერესი გამოიწვია საზოგადოებაში. ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ნეზნამოვის როლში გამოვიდა რესპუბლიკის სახალხო არტისტი გიორგი დავითაშვილი. მაყურებელი გულთბილად მიესალმა მსახიობს, რომელიც მისთვის ჩვეული დიდი ოსტატობით ასახიერებს ნეზნამოვის როლს.

გ.—ა.

# ქრონიკა

### „კავკასიონის მთებში“.

ამ დღეებში პოეზიისა და პროზის სექციების გაერთიანებულ სხდომაზე პოეტმა ქალმა ვერა შუბლაძემ წაიკითხა თავისი ახალი პოემა „კავკასიონის მთებში“. პოემაში მოთხრობილია ერთი ქართველი მეომრის საბრძოლო თავგადასავალი და გადმოცემულია მისი სულიერი დრამა, ომის ამბებით გამოწვეული. პოემის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს პ. კეშელავამ, ი. ხომტარიამ, ს. თავაძემ, გ. ქიქოძემ, ვ. წულუკიძემ და პოეზიის სექციის თავმჯდომარემ კონსტ. ჭიჭინაძემ. ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ ავტორმა შესძლო ქკაფიოდ ჩამოყალიბებული ფაბულის შექმნა. მთავარი გმირის ხასიათი ცოცხლად არის მოცემული, პოემა დაწერილია გამართული ლექსით, მაგრამ იგი ნაწილობრივ მოკლებულია კონკრეტულობას, დრამატიზმს და ალაგ-ალაგ სქემატიურია. საფუძვლიანი შენიშვნები მისცა ავტორს კ. ჭიჭინაძემ, რომელიც უმთავრესად პოემის ენობრივ სტილისტურ მხარეს შეეხო, საერთო დასკვნით ვ. შუბლაძემ უნდა განაგრძოს მუშაობა თავის ნაწარმოების გადასამუშავებლად და დასახვეწად.

### ბელორუსიის- ჯაზ-ორკესტრის გასტროლები თბილისში

ამ მოკლე ხანში თბილისს ეწვევა ბელორუსიის ჯაზ-ორკესტრი, რომელსაც ხელმძღვანელობს ბელორუსიის საბჭოთა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი როზნერი, ორკესტრი გამართავს ათ კონცერტს. პირველი კონცერტი გაიმართება 11 ნოემბერს სახ. ფილარმონიის შენობის საკონცერტო დარბაზში.

### სპექტაკლი „სევდიანი რომანი“.

15 ოქტომბერს გაიხსნა 1944-45 წლის სეზონი სანიტარული კულტურის თეატრში. თეატრმა პრემიერად დასდგა გ. ქელბაქიანის 4 მოქმედებიანი პიესა „სევდიანი რომანი“. საზოგადოება გულთბილად შეხვდა სპექტაკლს.

### აფხაზეთის რუსული დრამის თეატრში

ამ მოკლე ხანში აფხაზეთის რუსული დრამის თეატრი დასდგამს სამსონიას პიესას „პეტრე ბაგრატიონს“. ბაგრატიონის როლს შეასრულებს მსახიობი ბურლაკოვი. მიმდინარე სეზონში ეს თეატრი დასდგამს აგრეთვე შექსპირის ორ ტრაგედიას „ჰამლეტს“ და „ოტელოს“.

### ბელორუს კომპოზიტორების ახალი ნაწარმოებები

ბელორუსიის კომპოზიტორებმა დასწერეს ახალი მუსიკალური ნაწარმოებები, რომლებიც ასახავენ ბელორუსი ხალხის გმირულ ბრძოლას გერმანელ ფაშისტ დამპყრობელთა წინააღმდეგ. ა. ბოგატიროვმა დაამთავრა კანტატა „პარტიზანი“, რომელიც სახალხო პოეტის იანკა კუპალას ტექსტზე არის დაწერილი. საბჭოთა კავშირის გმირზე, ბელორუს პარტიზან ზასლონოვზე ოპერასა სწერს კომპოზიტორი ნ. ალადოვი, ოპერის ლიბრეტო ეკუთვნის ბელორუს პოეტს პეტრო გლებკას.

### კრილოვის იგავ-არაკთა კრებული მხატვრული თვითმოქმედების წრეებისათვის

გამომცემლობა „მოლოდაია გვარდია“ ი. ა. კრილოვის გარდაცვალების ასი წლისთავისათვის ამზადებს საესტრადო კრებულს მხატვრული თვითმოქმედების წრეებისათვის. კრებულში მოთავსებული იქნება კრილოვის რჩეული არაკები და ამ არაკების ინსცენირებანი. იგივე გამომცემლობა „დიდი რუსი ადამიანების სერიის“ ხაზით ცალკე ბროშურად სცემს დიდი რუსი მოიგავარაკის ბიოგრაფიას.

### სკულპტორ ა. გოლუბკინას ნამუშევართა გამოფენა.

მოსკოვში მხატვართა ამხანაგობის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა ცნობილი რუსი სკულპტორის ა. ს. გოლუბკინას საიუბილეო გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილია 54 ქანდაკება, 11 ნახატი, 14 აკვარელი და გოლუბკინას ნამუშევრების 48 ფოტო. მნახველთა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ ფიგურული კომპოზიციები—„მიმავალი კაცი“, „დამჯდარი კაცი“, პორტრეტული ბიუსტები მ. ლერმონტოვის, ლ. ტოლსტოის, კარლ მარქსის, ა. ნ. ტოლსტოის, ა. ბელის, ს. მოროზოვისა და სხვ. გამოფენის გახსნის დღეს გოლუბკინას შემოქმედებაზე სიტყვები წარმოსთქვეს ს. გერასიმოვმა და მოტოვილოვმა, რომლებმაც ა. გოლუბკინა დაახასიათეს, როგორც მეოცე საუკუნის რუსული სკულპტურის ერთ-ერთი უდიდესი ოსტატი.

გოლუბკინას ნაწარმოებთა გამოფენის დასათვალიერებლად დიდძალი საზოგადოება დაიარება.

### „მალახოვის კურგანი“

კინემატოგრაფიის საქმეთა საკავშირო კომიტეტის საბჭოში შესდგა თბილისის კინოსტუდიის მიერ დადგმული ახალი მხატვრული ფილმის „მალახოვის კურგანის“ გასინჯვა-განხილვა. როგორც აღვნიშნავდით, ამ ფილმში ნაჩვენებია სევასტოპოლის გმირული დაცვა სამამულო ომის დღეებში. ფილმის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს მიხეილ ჭიაურელმა, ვს. პუდოვკინმა, ბ. ბაბოჩკინმა, ვ. ჩირკოვმა, ა. დიკიმ, ნ. ტიხონოვმა. ნ. ოხლოპკოვმა, გენერალ მაიორმა ნ. ტალენსკიმ და სხვებმა, რომლებმაც დასაბუთებული კრიტიკული შეფასება მისცეს თბილისის კინოსტუდიის ამ ახალ ნაწარმოებს.

სარედაქციო კოლეგია:
ო. ეგაძე, გ. ნატროშვილი (პ.-მგ. რედაქტორი), შ. რადიანი, გ. ქიქოძე, ს. ჩიქოვანი, ვ. წულუკიძე, მ. ჭიაურელი.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის № 13 (მწერალთა სახლი), ტელეფონი 3—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“. თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 08120